# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 27 ოქტომბერი 2008 №248 (3472) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას გაიგებ, დიეგო?! ეს საქართველოა...



# პატარქალიშვილმა დიდი მარადონა დააპატარავა



## საქართველო 3:

„სტადიონზე ათეულ ათასობით მოსული ადამიანი და მილიონობით ტელემაყურებელი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მოწმე და მონაწილე გახდება დაუვიწყარი საფეხბურთო სპექტაკლისა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას მსოფლიოს ქვეყნებში...“

ეს არის ციტატა იმ ტექსტიდან, კვირა საღამოს სამატჩო პროგრამის მსგავს ფურცლებზე რომ ამოვიკითხეთ, რომელიც საქართველო — არგენტინის ვეტერანთა ნაკრებების შეხვედრისთვის დაუბეჭდავთ ლეგენდარული დიეგო მარადონას თბილისში ჩამოყვანის ორგანიზატორებს...

სასაცილოა, სამწუხაროც და სამარცხვინოც: ამგვარი ტექსტის ავტორი სტადიონზე ათეულ ათას ქომაგსა და ანშლაგზე ფიქრობს, თან კი სტადიონზე შესასვლელ ბილეთს 150 ლარად აფასებს...

ამ ტექსტის ავტორიცა და მატჩის ორგანიზატორიც ერთი კაცია — ნიკო პატარქალიშვილი, ვისაც, ეტყობა, თავადვე არ სჯეროდა, რომ ფეხბურთის ღმერთი თბილისში ჩამოვიდოდა და მარადონას საკუთარი თვალით ნახვის შემდეგ თუ შეუდგა სამატჩო ამბების მოგვარებას...

ფეხბურთის ღმერთი ჩვენი „ეროვნულის“ გასახდელში იყო, სტადიონის ტრიბუნაზე კი, რა გითხრათ, ჰა-ჰა, ხუთი ათასამდე კაცი თუ მოგროვდებოდა.





ეს იყო დიდი შეურაცხყოფა, რომელიც ლეგენდასთან ერთად მიიღო ქართულმა საფეხბურთო სამყარომ და ეს იყო სირცხვილი, რომელიც ერთმა ბედოვლათმა იმად გვაჭამა, რომ...

ბატონო ნიკო, თუ არ იცით, გეტყვით: როცა რამე კომერციული მატჩისა თუ ტურნირის ორგანიზებას აპირებთ, ჰონორარების თუ სხვა საჭირო თანხების გასტუმრებას მხოლოდ გაყიდული ბილეთებიდან არ უნდა ელოდოთ, რეკლამაც გჭირდებათ, სპონსორებიცა და კიდევ უამრავი რამ, რაც ვერ შეძელით და ახლა ეგებ, თავშისაცემადაც გაქვთ საქმე...



დიდი დიეგო კი თამაშზე უარს ამბობდა, კონტრაქტის პირობები ირღვევაო. რა წერია იმ კონტრაქტში, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა, როცა საქმის გარჩევა დაიწყო, ითქვა, კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა სავსე სტადიონიც არისო. ტრიბუნებზე კი...

მატჩის დაწყება 45 წუთით გა-

# დიეგოს საქართველოში მეორედ ჩამოსვლამდე არაფერი გეტკინოთ!

## :5 არგენტინა



დაიდო, ამასობაში სტადიონის ყველა ჭიშკარი გაალეს და გარეთ მყოფთ აქეთ ეპატიჟებოდნენ.

მაინც არაფერი გამოვიდა — ღია კარებმა ერთი-ორი ათასი თუ შემატა ტრიბუნებს. იმ დროს ხალხი ქუჩაშიც აღარ იყო. ასი-ორასი კაცი (ბავშვიც, ქალიც...) კი სტადიონის სარბენ ბილიკებზე მიდი-მოდიოდა, ალბათ იმიტომ, რომ მარადონა უფრო ახლოდან ეხილა.

მერე, როდის-როდის, დიდი დიეგო თამაშზე მაინც დაიყოლიეს. ის მოედანზე გამოვიდა, მაგრამ ისეთი ნირწამხდარი გამომეტყველება ჰქონდა, რომ...

თუმც ხასიათზეც მალე მოვიდა. თამაშის დასაწყისშივე კი თანამსაჯ გოგონას ისეთიც შეუბლვირა, ძველი და ნაღდი მარადონა რომ გაგვახსენა.

მარადონას, კლაუდიო კანიჯას, მატიას ალმეიდას და მათი პარტნიორების თამაშის ყურება, მართლაც, ერთი სიამოვნება იყო. დიდმა დიეგომ რამდენჯერმე ისეთი რამ გააკეთა, რისთვისაც არის კიდეც ის მარადონა, ანუ ფეხბურთის ღმერთი.





არგენტინელებმა გოლებით აავსეს სალაღობოდ მოთამაშე საქართველოს ვეტერანთა ნაკრების კარი და მეორე ტაიმის დაწყებამდე კიდევ ერთი მარადონასეული ვნახეთ: ჩვენებმა შეცვლები გააკეთეს და... მოედანზე საქართველოს სადღეისო ნაკრების ფეხბურთელებს უხმეს!

მარადონამ ეს ვერ აიტანა, უწვერულებთან რად მათამაშებთო და ბიჭებს მოედანი დაატოვებინა.

გასაგებია, რომ ლეგენდასთან ერთად თამაშის სურვილი იყო ამ უხერხულობის ერთადერთი მიზეზი, მაგრამ... ესეც ხომ უაზრო ორგანიზების ბრალია?!

მოკლედ, აი, ასე, უემოციოდ და ყოვლად უფერულად ჩაიარა იმ საღამომ, რომელიც საზეიმო უნდა ყოფილიყო, უთავბოლობის გამო კი...



მერე ჩვენი კოლეგის ერთი ფრაზაც იყო — მარადონას თბილისში მეორედ ჩამოსვლამდე არაფერი გეტკინოთო. ჩვენც მანდ ვართ.

და მაინც, დიეგო მარადონა თბილისში ნამყოფია და „ეროვნულზე“ ბურთიც გაუგორებია...

სასიამოვნო გასახსენებლად ესლა თუ დაგვრჩება, სხვა კი... სხვა ყველაფერი საზიზღრობა იყო!

ქობა ინასარიძე

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 7 ტური

# ლოკომოტივმა გაგრაც გაიარა


გიორგი კახელიშვილს რევაზ თევდორაძემ არ გაატანინა

თბილისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. მ. მესხი. 100 მაყურებელი

## ლოკომოტივი 2:0 გაგრა

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 სამხარაძე (15, 87) | |
| ლოკომოტივი: გ. ლომაია, სარალიძე (ბებუა 67), კაიშაური (კ. მახარაძე 68), ფარულავა, დ. ფოფხაძე, ჩირიკაშვილი, ი. სამხარაძე, ცქიტიშვილი, კახელიშვილი, ვ. დარასელია (დ. ჩაგელიშვილი 87), ალექსიძე. სათადარიგონი: ბათიაშვილი, კაჭახიძე, ა. კობიაშვილი, ი. გილაური. მწვრთნელი: ზაზა ზამთარაძე | გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, დ. გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ჩარგეიშვილი, ტყეშელაშვილი, ზ. დათუნაშვილი (ფილია 87), შარიქაძე (დ. ჩხაიძე 63), გაბედავა, ზ. მეტრეველი (ზ. ძაგანია 46). სათადარიგონი: ა. კოტრიკაძე, კვანტალიანი, ლალიანი, ცხადაია. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბუდურაშვილი, გ. ყურაშვილი, ი. ურუშაძე | |

ლევან მაისურაძე

დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ ღონიერმა „გაგრამ" საწყის ტურებში კლანჭები გამოაჩინა და ქულებიც აიღო, მაგრამ უკვე მეორე ტურია, მოედანს უქულოდ ტოვებს. წლეულს მოფერიანებული „ლოკომოტივი" კი მოსაგებ თამაშებს ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იგებს და შაბათის მატჩს ინტრიგა თუ ბოლო წუთებამდე გაჰყვა, ეს ვაკელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ...

თამაში სწრაფ ტემპში, მოედნის ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლით დაიწყო. მასპინძლებმა უფრო გამოცდილი ნახევარმცველებისა და პრესინგის ხარჯზე უპირატესობაც ხელთ იგდეს და სახიფათო მომენტებიც შექმნეს. მე-4 წუთზე ვიტალი დარასელიას საჯარიმო დარტყმა გაუცუდდა. მალევე ისევ დარასელიამ იაქტიურა მარცხენა ფლანგზე და საჯარიმოში გაკეთებულ გადაცემას გიორგი კახელიშვილი ვერ დაუხვდა სათანადოდ.

სტუმრები მალე გამოფხიზლდნენ, თუმცა ღირებულის შექმნას ვერ ახერხებდნენ. ძირითადად, მარჯვნიდან ზამორა დათუნაშვილი აქტიურობდა...

მე-15 წუთზე კი ლამაზი გოლი გავიდა. მარჯვნიდან, საჯარიმოს წინ გაკეთებულ გადაცემას ირაკლი სამხარაძემ მიწაზე დაუშვებლად ამოჰკრა ფეხი და ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაახვია — 1:0.

სტუმრები ჯერ ისევ დამშვიდებას ცდილობდნენ, როდესაც „ლოკომოტივს" საქმის მომთავრება შეეძლო — ლევან ცქიტიშვილმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა, ცენტრიდან მშვენიერი პასი გაუკეთა კახელიშვილს და ერთბაშად სამი თანაგუნდელი მეკარეს შეატოვა. კახელიშვილმა, იმის მაგივრად, რომ კარში დაერტყა, დარასელიას გაუკეთა გადაცემა, ვინც უკვე თამაშგარეში იყო...

მალევე ისევ კახელიშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, ამჯერად მარცხენა ფლანგიდან, დაარტყა კიდეც, მაგრამ რევაზ თევდორაძემ ფეხით აუღო.

„გაგრა" უქმად ნამდვილად არ იყო, მაგრამ მარტო მონდომება არაფერს შველოდა. გოლის გატანა გიორგი გაბედავას შეეძლო, როდესაც საჯარიმოსთან პოზიციური ბრძოლა მოიგო და კარში ძლიერად დაარტყა. გიორგი ლომაიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. გაგრელთა მეორე მომენტიც გაბედავასი იყო — მისი დარტყმული მეკარემ ამჯერადაც კუთხურზე გადააგდო.

მეორე ტაიმი სტუმრებმა ცოცხლად დაიწყეს. შეცვლაზე შესული ზურაბ ძაგანია აქტიურობდა. „გაგრა" მანამდე თუ მარტო ფლანგებიდან უტევდა, მერე ცენტრში ძაგანიას ტვირთავდნენ და მასაც მალევე შეეძლო გატანა — მარცხნივ გაკეთებული მაღალი გადაცემა გაბედავამ ერთი შეხებით საჯარიმოში შეაბრუნა, ძაგანიამ კი ორი მეტრიდან კარს გადააცილა.

ამის მერე „ლოკომოტივი" უფრო საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდა, თუმც, როგორც კი საშუალება ეძლეოდა, შეტევაზე გადადიოდა. ნახევარმომენტებიც ბლომად ჰქონდა. „გაგრას" კი მონდომების მიუხედავად, ხიფათის შექმნა უჭირდა.

ყველაფერი 87-ე წუთზე დამთავრდა. ცქიტიშვილი მარჯვნიდან შევიდა საჯარიმოში, ორი მცველი ტექნიკურად მოატყუა და ერთი შეხებით ბურთი სამხარაძეს შეაყოლა, რომელმაც თევდორაძეს დაცულ კუთხეში ზუსტად დაურტყა — 2:0.

დამატებით წუთებში ირაკლი ჩირიკაშვილს მართებდა გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს ააცილა...

# სტუმარი ღვთის და სამი ქულისაა

## მესხეთი გონჩაროვმაც დაალალატა

ბორჯომი. 25 ოქტომბერი. 14 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

## მესხეთი 0:1 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 0:1 მელქაძე (50) | |
| მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი (სუდაძე 89), გ. კვახაძე, კობესაშვილი (ინასარიძე 70), ლეკიშვილი, ლ. თედიაშვილი, შ. გრიგალაშვილი, მემარნიშვილი, მ. თაყაძე (სამადაშვილი 52), ახალაია, გონჩაროვი. სათადარიგონი: ძამუნაშვილი, მურმანიშვილი, გაგუა, ყურულაშვილი. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, კვალიაძე (დ. მაისაშვილი 37), ვ. კვარაცხელია (ყველაშვილი 87), ლიპარტია (სვანიძე 73). სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, გ. ჯანელიძე, ბერიაშვილი. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |
| გაფრთხილება: ლიპარტია (36), ლომაია (60), მელქაძე (63), სამადაშვილი (85) | |
| გაძევება: გონჩაროვი (63), მელქაძე (79) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია, დ. კვიტენაძე, ზ. ხუციშვილი, ვ. გუმბერიძე | |
| დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე; დელეგატი: ბ. მჭედლიშვილი | |

ბექან ჩხეიძე ბორჯომიდან

სტუმრები ბორჯომში ლიდერის სტატუსით ჩავიდნენ.

თან ვეტერინარებს ამ სეზონში კარგად გამოსდით სტუმრად თამაში — სამ მატჩში შვიდი ქულა აიღეს და გოლი არ გაუშვიათ.

ამას დავუმატოთ მასპინძელთა საკადრო პრობლემებიც და...

თავიდან გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს, ოდნავ აქტიური მაინც სტუმრები იყვნენ და მე-5 წუთზე გიგა ბეჭვაიამ იყოჩაღა, მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში, ვახტანგ კვარაცხელიამ თავური მიაყოლა და ბურთმა კარს გვერდით ჩაუქროლა.

საპასუხო შეტევისას მიხეილ თაყაძემ მიიღო მცველებისგან ასხლეტილი ბურთი, მეკარესთან პირისპირ გასვლას ლამობდა, მაგრამ ოდნავ შეყოვნდა და...

მე-17 წუთზე ჯაბა ლიპარტია გაჰყავდათ პარტნიორებს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გიორგი სომხიშვილმა ფეხიდა აცალა ბურთი თავდამსხმელს.

მალევე ისევ თაყაძემ იაქტიურა, საჯარიმოშიც ჩააწოდა ბურთი, გრიგოლ ბედიაშვილის მუშტებით მოგერიებულს შოთა გრიგალაშვილი დაეუფლა და ბორის გონჩაროვი მოძებნა, მაგრამ ბედიაშვილს ვერც მან აჯობა.

26-ე წუთზე გიორგი მელქაძემ საჯარიმოსთან მიიღო ბურთი, წაიწია წინ და ძლიერი დარტყმით შეამოწმა სომხიშვილის საიმედოობა.

ხუთიოდ წუთში ლევან თედიაშვილმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა გრიგალაშვილი, მისი დარტყმა ბედიაშვილმა უხერხულად მოიგერია და ბურთი კინაღამ საკუთარ კარში შეუგორდა.

ტაიმის ბოლოს ისევ ვიტელები გამოირჩნენ: მელქაძის კუთხურს კვარაცხელიას თავური მოჰყვა და მასპინძლები ხარიხამ იხსნა.

მეორე ნახევარი დაიწყო და სტუმრებმა მალევე გაიხარეს — მცველების დაუდევრობით მელქაძემ ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და 0:1.

55-ე წუთზე მელქაძე ისევ პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად პასი გაუკეთა პარტნიორს, რომელიც აშკარად არ ელოდა ამას.

63-ე წუთზე მასპინძლებს უფრო დაუმძიმდათ მდგომარეობა — უმცირესობაში დარჩნენ.

ჯარიმის მოთხოვნის მიზნით, გონჩაროვმა მსაჯი შეურაცხყო და ლევან კვარაცხელიამაც მას გასახდელისკენ მიუთითა.

სტუმრებმაც გააძლიერეს შეტევები, მით უმეტეს, მასპინძელი მცველები უსუსურად გამოიყურებოდნენ და თბილისელებს ოთხი-ხუთი გოლის გატანა მართებდათ.

79-ე წუთზე საკმაოდ უწყინარ სიტუაციაში, მელქაძემ ჯარიმის დარტყმის საშუალება არა და არ მისცა მასპინძლებს და მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათით ისიც მიაბრძანა მოედნიდან.

ბოლოსკენ ვეტერინარები დამშვიდდნენ და შეტევებით თავი არ მოუკლავთ, თუმცა წამატებულ წუთებზე ირაკლი კლიმიაშვილს ორჯერ შეეძლო გატანა — სომხიშვილმა ორივეჯერ იყოჩაღა.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა. თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ამდენი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ შეიძლება, მეტოქემ დაგსაჯოს. მიუხედავად ამისა, ბიჭების კმაყოფილი ვარ. მსაჯების მიმართ პრეტენზიების გამოთქმა არ მჩვევია. მიუხედავად გაძევებებისა, ვფიქრობ, თამაში კორექტული იყო.

*კობა თედიაშვილი:* ტრავმებით თუ მიკროტრავმებით თავდაყირა დაგვიდგა ისედაც გატანჯული შემადგენლობა. არც შედეგით და არც თამაშით კმაყოფილი არ ვარ. სეზონის დასწყისში სხვა მიზნები გვქონდა, ახლა კი, ალბათ, ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მოგვიწევს ფიქრი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 9:2 | 15 |
| მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 12 |
| ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:3 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| ბორჯომი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| მესხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |

## ქართველები უცხოეთში

# ასათიანმა ბოგუშს ჯერ მიულოცა, მერე მოუბოდიშა

### რუბინელი ქართველები ოქროს ქულებს ითვლიან

**ქართული** ლეგიონის ამბავს ყაზანიდან ვიწყებთ, სადაც „რუბინმა“ „კრილიას“ 3:0 აჯობა და რუსეთის ჩემპიონობამდე ცოტალა უკლია: ყაზანელებს დარჩენილ ოთხ ტურში 6 ქულა სჭირდებათ, რათა მდევრებისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

დავით კვირკველიამ სამარელებთან სრულად ითამაშა, ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი კი განაცხადშიც არ იყვნენ.

აღვნიშნოთ, რომ სალუქვაძეს მცირე ტრავმა აქვს.

დავით სირაძემ ნალჩიკის „სპარტაკს“ ოდენ საპირველტაიმო გამარჯვება აჩუქა. ჩვენიანმა „შინიკთან“ სტუმრად 43-ე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმც მასპინძლებმა, ასე ვთქვათ, „ტაიმბოლი“ დასვეს — 2:1 იმარჯვეს.

ყაბარდოული კლუბი ცხრილის შუაშია და მოტივაცია ნაკლებად...

რაც შეეხება გოლს: სირაძემ გოგიტა გოგუას პასით იხეირა, ახლო მანძილიდან „დახვრიტა“ მეკარე.

დავითმა სრულად ითამაშა, გოგუა 82-ე წუთზე შეცვალეს, ალეკო ამისულაშვილი კი ბოლო წუთზე ორი ყვითლის გამო გააძევეს.

ლევან გვაზავას „ლუჩმა“ „ხიმკისთან“ 1:3 დათმო და გასავარდნ ზონაში ამოჰყო თავი.

გვაზავამ 90 წუთი ითამაშა, აქტიურიც იყო.

გერმანიაში „შალკეს“ გაუგრძელდა მოუგებელი სერია — „ხუმარები“ შინ „არმინიას“ 0:0-ზე გაეყარნენ და ხუთეულს მიღმა არიან.

ლევან ყენიას ბუნდესდებიუტი კვლავ გადაიდო, ლევან კობიაშვილი კი შეუცვლელად იყო მინდორზე.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ სტუმრად „გლადბახთან“ 0:1 დათმო. ჩვენიანი ძირითადში იყო და მე-80-ეზე შეცვალეს.

მოკლედ, ბუნდესტური ღარიბი გამოდგა ქართველებისთვის.

მათე ღვინიანიძემ 52 წუთი ითამაშა „ოსნაბრუკთან“, მისმა „მიუნხენ 1860“-მა კი 2:0 იმარჯვა. მათე თავიდანვე იყო მინდორზე და პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა.


მალხაზ ასათიანი

უკრაინაში ქართული გოლი გავიდა, თუმც პირველ ლიგაში — ოთარ მარცვალაძემ შეაგდო. კიევის „დინამო 2“-მა „დნესტრთან“ 2:1 იმარჯვა.

ოთარმა მე-16 წუთზე მარცხნიდან ჩაწოდებულის შემდეგ გაიტანა და უკრაინული მედიის ცნობით, გოლს ძალიან ემოციურად ზეიმობდა — ეს მისი პირველი ოფიციალური გოლია თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ. ოქტომბერში მარცვალაძემ მიჯრით სამ თამაშში შეაგდო, თუმცა ამხანაგურებში...

კიევის „დინამოს“ მთავარმა გუნდმა კი სიმფეროპოლში „ტავრიას“ 3:1 აჯობა. წაგებულთაგან ვასილ გიგიაძემ და ლადო ბურდულმა შეცვლაზე ითამაშეს (შესაბამისად, 20 და 30 წუთი), კიეველთა მალხაზ ასათიანი კი შეუცვლელი გახლდათ და გოლამდე ცოტა დააკლდა — სანტიმეტრებით აცილა.

„დინამოს“ ქართველ მცველს ნამატჩევს უკრაინელი ჟურნალისტი ესაუბრა...

— რას იტყვით მატჩზე?

— ძნელად გავიმარჯვეთ. განსაკუთრებით კი 2:1-ის დროს ავნერვიულდით. დღეს რომ გაგვიჭირდა, უკრაინაში ასე არავისთან გაგვჭირვებია.

— არადა, „ტავრია“ ბოლოსწინა ადგილზეა...

— მეტოქე სერიოზულად მომზადებული დაგვხვდა. გავარდნა არ სურთ და ვფიქრობ, „ტავრია“ დაუმსახურებლადაა გასავარდნ ზონაში.

— იური სიომინმა რა გითხრათ მატჩის შემდეგ?

— კმაყოფილი იყო. ვფიქრობ, თამაში მოეწონებოდა, თუმც შეცდომებიც გვქონდა. მაგალითად, გაშვებული გოლი ჩემი ბრალი იყო.

— მეკარე სტანისლავ ბოგუშს დაბადების დღე მიულოცეთ?

— რა თქმა უნდა. თამაშის წინ მივულოცეთ. სამწუხაროა, რომ კარი მშრალად ვერ შეინახა და ამის გამო ბოდიშიც მოვუხადე.

ლვოვის „კარპატიმ“ შინ 0:0 ითამაშა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“. მასპინძელთა სანდრო გურული ბოლო წუთებზე შეცვალეს — ისე აქტიური ვერ იყო, როგორც წინა მატჩებში.

უკრაინის უმაღლეს ლიგაში სხვა ქართველები მინდორზე არ გამოჩენილან...

ბელარუსში გივი კვარაცხელიამ შეაგდო. მისი „მტზ-რიპო“ „მოგილოვთან“ აგებდა, 64-ეზე გივიმ გაათანაბრა, მერე მისიანებმა გადამწყვეტი გაიტანეს და 2:1 მოიგეს. „მტზ-რიპო“ მესამე ადგილზეა.

გრაცის „შტურმა“ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა 6 გოლი, თუმც წინა ტურში თუ „მატერსბურგთან“ 5 ბურთი გაუშვა, ამჯერად „ალტახთან“ მშრალად დაიტოვა კარი.

გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა სრულად ითამაშეს. გრაცელები მესამე საფეხურზე არიან.

სლოვაკეთში „ნიტრას“ ირაკლი ლილუაშვილმა 55 წუთი ითამაშა „მორავცესთან“ — 1:2.

ლილუაშვილის გუნდმა გასული სეზონი მესამეზე დაამთავრა, ახლა კი ცხრილის შუაშია.

სომხეთშიც გამოერია ქართული გოლი: გაგა თბილაშვილმა „მიკას“ გაუტანა და მისმა „განძასარმა“ ქულა აიღო — 1:1.

დავით მუჯირი კვლავაც არ გამოჩენილა „ლოკომოტივში“, რომელმაც „ამკართან“ სტუმრად 0:0 ითამაშა.

ჩეხეთში ტურის მთავარი მატჩი დღეს იქნება — მეორეადგილოსანი „ბოლესლავი“ ლიდერ „სლავიას“ ხვდება. „ბოლესლავის“ მეორე გუნდმა კი გუშინ ითამაშა „ჟიჟკოვთან“ და 1:1-ზე გაეყარა. გიორგი განუგრავამ პირველი ტაიმი გაატარა მინდორზე.

**ილია ნანოზაშვილი**


გიორგი დარასელია (მარჯვნივ)

# რას ეუბნება გიორგი დარასელიას გიორგი დარასელია

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ახლახან გამოჩნდა 17 წლის გიორგი დარასელია, რომელიც ებრაულ „ჰაპოელ ქვარსავაში“ გამოდის. გიორგი 6 წლის იყო, მისი ოჯახი ისრაელში რომ გადაბარგდა საცხოვრებლად. მამამისი, გიორგი დარასელია, ქართველ ქომაგს კარგად ემახსოვრება — მას საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. 19-წლამდელთა თავკაცმა ზაურ სვანაძემ დარასელია ორ ტესტ-მატჩში ათამაშა — მარჯვენა ნახევარმცველადაც მოსინჯა და მცველადაც. გიორგის „ამერთან“ მატჩის (0:1) შემდეგ გავესაუბრეთ...**

— ძალიან მიხარია, რომ 19-წლამდელთა ნაკრებში გამომიძახეს. რა თქმა უნდა, თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ბიჭებმა ძალიან თბილად მიმიღეს და ამისთვის მადლობელი ვარ.

— „დინამო 2“-თან მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშე, „ამერთან“ მარჯვენა მცველობაც დაგავალეს. კლუბში რა პოზიციაზე თამაშობ?

— ამ ბოლო დროს მწვრთნელი მარჯვენა მცველად მაყენებს, მანამდე კი მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობდი.

— ასაკიდან გამომდინარე, ალბათ „ჰაპოელის“ დუბლებში ხარ...

— დიახ, დუბლებში ვთამაშობ და ასაკით ყველაზე უმცროსი ვარ. ჩემი გუნდი 1989-90 წლებში დაბადებული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

— ისრაელში როგორი პირობებია?

— ყველაფერი მაღალ დონეზეა, „ჰაპოელს“ თავისი ბაზა აქვს — რამდენიმე კარგი მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი, აუზი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ფეხბურთელს მომზადებისთვის სჭირდება.

— ისრაელის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი?

— დიდ ევროპულ ქვეყნებს, რა თქმა უნდა, ჩამორჩება, თუმცა ექვსი-შვიდი გუნდია, რომლებიც საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობენ. აშკარად შეიმჩნევა, რომ ებრაული ფეხბურთი ვითარდება.

— მამაშენი, გიორგი, თუ ესწრება შენს თამაშებს?

— ის მწვრთნელად მუშაობს, ძალიან დაკავებულია და ხშირად მოსვლას ვერ ახერხებს, მაგრამ როცა ესწრება, რჩევებს მაძლევს. მაკრიტიკებს, სულ მეუბნება, ბევრი უნდა იშრომო, თუ გინდა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშო.

**ნუგზარი ლოლაძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა — 9 ტური

**დასავლეთი**

ჭიათურა 1:2 ბაია
გურია 1:1 ხობი
კოლხეთი 4:0 ზესტაფონი 2
მეშახტე 1:5 მერანი (მ)
ტორპედო 2008 2:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| მერანი (მ) | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ჭიათურა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:7 | 16 |
| სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 12:7 | 13 |
| ხობი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| გურია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| ტორპედო 2008 | 8 | 2 | 1 | 5 | 3:6 | 7 |
| მეშახტე | 8 | 0 | 1 | 7 | 5:22 | 1 |

**აღმოსავლეთი**

გაგრა 2 3:2 თბილისი
სიონი 2 1:1 ნორჩი დინამო
კახეთი 0:3 ვიტ ჯორჯია 2
დილა 0:0 ჰერეთი
დინამო 2 0:1 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21:7 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 5 | 3 | 0 | 17:2 | 18 |
| ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| სიონი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 13:22 | 9 |
| გაგრა 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 13:20 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ნორჩი დინამო | 8 | 1 | 3 | 4 | 11:16 | 6 |
| ჰერეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |
| კახეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:16 | 4 |

# კახა კალაძემ მილანში ჯორჯ კლუნი და ბრედ პიტი მიიყვანა


კახა მეუღლე ანუკისთან ერთად

**იცით**, რომ „მილანის“ მთავარ მწვრთნელად ჯორჯ კლუნი ინიშნება? მეტიც, მისი თანაშემწე ბრედ პიტი იქნება.

ასე იხუმრა კახა კალაძემ იტალიურ მედიასთან, როდესაც დევიდ ბექემის „მილანში“ გადასვლაზე კომენტარი სთხოვეს...

„ყველას გაგვიხარდა, რომ ბექემი მალე შემოგვიერთდება. თუმცა გულშემატკივრებმა არ იციან, რომ ეს პირველი მოულოდნელობა არ არის. „მილანის“ მწვრთნელად ჯორჯ კლუნი ინიშნება, მის თანაშემწედ კი — ბრედ პიტი“.

**ილია ნანოზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

### სუპერლიგა. II ტური

# ჩამორჩენილმა ნტდ-მ აზერბაიჯანულად მოიგო

**შსს 57:67 ნტდ-თბილისი**
**26:6 9:23 12:13 10:25**

შსს: ცხვედიანი (10), მიქაბერიძე (3), ბერუაშვილი, ბ. ნოზაძე, ნინუა (5), შ. პატარაია (14), გოლეთიანი (19), ფაიქრიძე, აბულაძე (4), ი. ბაქრაძე, ბერია (2)
ნტდ-თბილისი: ტეტელაშვილი, ჩიტაშვილი (12), პაშაევი (20), სარიევი, ნიფტალიევი (4), მამაცაშვილი (4), როდუმტა (4), კეიდია (7), კოლუაშვილი (12), ბაქშიევი, სუხიშვილი (4)
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**თსუ 88:103 სსსსუ**
**21:22 15:27 28:30 24:24**

თსუ: დ. ბერიშვილი (19), გაფრინდაშვილი (2), გ. ბარბაქაძე (6), კოხრეიძე, შანიძე (17), მარკოიშვილი (7), ყველაშვილი (8), ხეცურიანი (6), ახალკაცი, დ. ბარბაქაძე (23)
სსსსუ: გულისაბედაშვილი (3), მ. ბერიშვილი (20), მარხვაშვილი (13), გასიტაშვილი, ტყეშელაშვილი (7), წივწივაძე (27), ათანელაშვილი (16), გვიმრაძე (9), ჩაჩიბაია (8)
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: მურმან ქურიძე*

**თბილავიამშენი 116:63 ბათუმი**
**18:15 36:7 36:16 26:25**

თბილავიამშენი: ბერაია (5), ი. ბერიშვილი (17), ნიკოლაძე (23), კვიმსაძე (2), მინაშვილი (25), მათიაშვილი (4), ნინიაშვილი (14), ნაცვლიშვილი (5), პირველაშვილი, ს. შერმადინი (10), ა. ბოისა (11)
ბათუმი: გვაზავა, თავართქილაძე (3), ჩხარტიშვილი (6), დოლიძე (8), ნ. ნოზაძე (9), კუშელავა (15), ბერიძე, ბოლქვაძე (3), იმნაძე (15), კვერნაძე (4)
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ნოდარ მიქელაძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**მაკაბი 76:79 დინამო**
**18:20 16:22 20:23 22:14**

მაკაბი: კილაძე (5), ჯიქია (3), სოხაძე, ანთაძე (25), ლონდარიძე (20), იოსელიანი (15), ჩლაიძე, ელიკაშვილი, ბიბილური, ივანეიშვილი (5), სუდაძე (3)
დინამო: გ. ბაქრაძე (11), ნანიტაშვილი (3), სორდია (4), ლაფანაშვილი (11), დოლიძე (2), სიგუა (10), ბოლქვაძე (6), გემეზაშვილი (2), კორკოტაძე (11), ქადარია (12), ხანიაშვილი (1), ხიზანიშვილი (6)
*მსაჯები: ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**სუპერლიგის** მეორე ტური ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც ერთმა გუნდმა მეორე დიდი ანგარიშით დაამარცხა, „თბილავიამშენისა“ და „ბათუმის“ დაპირისპირება იყო. თბილისელებმა დებიუტანტ მეტოქეს 116:63 სძლიეს.

გუშინდელი სათამაშო დღე თბილისის სპორტის სასახლეში „მაკაბისა“ და „დინამოს“ შეხვედრით გაიხსნა.

ბევრი ალბათ არ ელოდა, მაგრამ ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდმა მეტოქეს პირველიდან ბოლო წუთამდე ბრძოლა გაუმართა და საბოლოოდ მხოლოდ სამი ქულით დაამარცხა.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მაკაბელები მართლაც არ არიან ისეთ ხელწამოსაკრავები, როგორც ეს თავიდან ჩანდა. ერთი ეგაა, რომ ამ გუნდში სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეები ირიცხებიან და შესაბამისად, ამის გამო აგებენ კიდეც შეხვედრებს.

„დინამომ“ მეტოქეს ძირითადად თანაბარი და გუნდური თამაშის ხარჯზე აჯობა, მათ შემადგენლობაში ათზე მეტი სულ ხუთ კალათბურთელს ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მეტი ქულა 12 იყო. ამ დროს „მაკაბის“ რიგებში ზვიად ანთაძეს 25, ილია ლონდარიძეს 20, დავით იოსელიანს კი 15 ქულა ჰქონდა, მაგრამ მათ ვერც ერთი სხვა თანაგუნდელი ვერ აჰყვა და შესაბამისად, დამარცხდნენ კიდეც.

არადა, „მაკაბი“ ბოლო წამებამდე ინარჩუნებდა მოგების შანსს. „დინამოს“ რიგებში ვახტანგ ქადარიას ჰქონდა 12 ქულა და 6 მოხსნა, ეს საუკეთესო მაჩვენებელი იყო ზაზა ცაგარეიშვილის გუნდის რიგებში.

„თბილავიამშენისა“ და სუპერლიგის დებიუტანტ „ბათუმის“ შეხვედრაში ვიცე-ჩემპიონებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე სძლიეს მეტოქეს. არადა, პირველ მეოთხედში მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და ზღვისპირელებმა მხოლოდ 15:18 წააგეს. მატჩის ბედი მეორე და მესამე მეოთხედებში გადაწყდა, რომელიც საერთო ჯამში 72:23 მოიგეს ავიატორებმა, საერთო ანგარიშში ამ დროს 90:38 გახლდათ.

ასეთი დიდი უპირატესობის მიუხედავად, თბილისელთა შემადგენლობაში ორმაგი დუბლის გაკეთება ვერავინ შეძლო. ამასთან ყველაზე ახლოს ირაკლი ბერიშვილი იყო — 17 ქულა და 9 პასი, ბათუმელთა რიგებში კი დავით იმნაძემ შეძლო 15 ქულისა და 10 მოხსნის დაგროვება.

წესით და რიგით, ზღვისპირელებმა ნელ-ნელა ანგარიშგასაწევი გუნდი უნდა ჩამოაყალიბონ, მათი შემადგენლობა ამის თქმის უფლებას გვაძლევს. და ეს მიუხედავად ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხებისა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად თავიდანვე მიიჩნეოდა სტუდენტური გუნდების, თსუ-სა და სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის მატჩი, რომელიც ძალიან დაძაბული გამოდგა, თუმც ისიც სათქმელია, რომ თავად თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ნამდვილად ტოვებდა.

„სასოფლოს“ კალათბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა, მაგრამ შემდეგ მეტოქეს თამაშის გათანაბრების საშუალება და წინ გასვლის უფლებაც კი მისცეს. მაგრამ მთლიანობაში მიხეილ კობეშავიძის გუნდი თამაშს აკონტროლებდა.


სასოფლოელი ბექა წივწივაძე (ბურთით) ტურში აშკარად საუკეთესო იყო

გუჯაჯ დოლიძეგაშვილის ფოტო

თსუ-ს წაგების მთავარი მიზეზი დაცვაში ძალიან სუსტი თამაში და უამრავი ალებული ჯარიმა იყო. „სასოფლოს“ კალათბურთელებს ჯარიმები კარგად რომ ესროლათ, ანგარიში გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა. მათ 32-დან მხოლოდ 20 ჯარიმა ჩააგდეს.

მოგეხსენებათ, მიხეილ კობეშავიძეს ახლადშექმნილი გუნდი ჰყავს, თუმცა აშკარად არ ჰგავს დებიუტანტს, ეს მათ დუდუ დადიანის მემორიალზეც დაამტკიცეს და ახლაც აგრძელებენ ამის დადასტურებას.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ სავარაუდოდ სულ მალე პოლონეთში გაემგზავრება გუნდის უდავო ლიდერი ბექა წივწივაძე, რომელსაც კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს ერთ-ერთ იქაურ გუნდთან. როგორც გავიგეთ, ჯერ წაუსვლელობის მიზეზი პოლონურ გუნდში მწვრთნელის შეცვლა გახდა, მაგრამ გუშინ ითქვა, რომ ბექა ამ კვირაში, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოდან გაემგზავრება. ამ კალათბურთელის გამოკლება კი „სასოფლოს“ ძალიან შეეტყობა — ახლა სწორედ ის გახლავთ გუნდის სული და გული. ამ მოთამაშეს გასულ სეზონთან შედარებით აშკარად მომატებული აქვს, თანაც ყველა კომპონენტში, ქულებსაც ბევრს აგროვებს, კარგადაც ისვრის და პასებსაც კარგად ანაწილებს.

მეორე ტურის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე სწორედ ბექა წივწივაძე გახდა 27 ქულით, რასაც 5 მოხსნა და 6 პასიც დაუმატა. მიუხედავად 7 შეცდომისა, წივწივაძე მაინც ამ ტურის საუკეთესო მოთამაშედ უნდა დავასახელოდ.

ძალიან დაძაბული გამოდგა შსს-სა და ნტდს შეხვედრაც. ბევრს ეგონა, რომ პირველ ტურში ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენის“ დამარცხების შემდეგ, ნტდ შსს-საც ადვილად გაუსწორდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

„ძალოვნებმა“ წაგება ფიზიკურ მომზადებას უნდა დააბრალონ. მათ სწორედ ეს კომპონენტი არ ეყოთ გამარჯვებისთვის და ბოლო პერიოდში დათმეს კიდეც შეხვედრა, არადა, თავიდან, პირველ ათწუთეულში, ისინი დაწინაურდნენ და 26:6 მოიგეს კიდეც.

შსს-ს ასეთი ანგარიშგასაწევი თამაშის ძირითადი საფუძველი დაცვაში კარგი თამაში და მებრძოლი ხასიათია, ეს გუნდი ძირითადად ვეტერანებითაა დაკომპლექტებული და ისინი გამოცდილების ხარჯზე ახერხებენ სტაბილურ თამაშს.

გუშინ ნტდ-ს მოგებაში დიდი წვლილი ისევ აზერბაიჯანელმა ზაურ ფაშაევმა შეიტანა 20 ქულით. მას მიხეილ ჩიტაშვილი და ვიქტორ კოლუაშვილიც დაეხმარნენ 12-12 ქულით და საბოლოოდ მოიგეს კიდეც თამაში.

**გიორგი არაბული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნტდ-თბილისი | 2 | 2 | 0 | 144:129 | 4 |
| თბილავიამშენი | 2 | 1 | 1 | 188:140 | 3 |
| თსუ | 2 | 1 | 1 | 201:175 | 3 |
| შსს | 2 | 1 | 1 | 120:110 | 3 |
| სსსსუ | 2 | 1 | 1 | 177:171 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 151:189 | 3 |
| ენერჯი-ინვესტი | 1 | 1 | 0 | 83:74 | 2 |
| მაკაბი | 2 | 0 | 2 | 119:139 | 2 |
| ბათუმი | 1 | 0 | 1 | 63:116 | 1 |


ავია — ბათუმი. ვახტანგ ნაცვლიშვილმა (№13) და მისმა თანაგუნდელებმა ბათუმელები იოლად დაამარცხეს

გუჯაჯ დოლიძეგაშვილის ფოტო

ქვარციტი QUARTZITE
დიზდი
უძრავი ქონება

# თსუ საშემოდგომოზე ჩაიჭრა
## აკადემიამ პლეი ოფი დახატა


ბადრი კოთილაძის ფოტო

**საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა. XIV ტური**

24 ოქტომბერი. ლოკომოტივი
**ვისოლი-ყოჩები 63:13 დინამო**
25 ოქტომბერი. სინათლე
**ლოკომოტივი 67:14 არმაზი**
**ლელო 47:26 აია**
25 ოქტომბერი. შევარდენი
**აკადემია 15:10 უნივერსიტეტი**

**ვერც** კი ვიხსენებთ, როდის ჰქონდა შერჩენილი საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების ბოლო ტურს ასეთი ინტრიგა. აქამდე ხშირად იყო, რომ საპლეიოფო ოთხეული ორი-სამი ტურით ადრე ირკვევოდა, პირიქით კი აგერ, მე-18 ჩემპიონატი ტარდება და ასეთ შემთხვევას თითო-ოროლას თუ გავიხსენებთ.

ერთი სიტყვით, გასარკვევი რეგულარულის ბოლო ტურში გაირკვა: შინაური რაგბის ბობოლებს —თბილისურ „ლოკომოტის", „ვისოლი-ყოჩებსა" და „ლელოს" — ბოლო დროს ფერზე მოსული „აკადემია" დაემატა და საპლეიოფო ოთხეულიც შეიკრა.

ბოლო ტურის ინტრიგაც სწორედ პლეი ოფის მეოთხე გუნდის ვინაობის გარკვევა იყო. მეოთხე ადგილისთვის ორი უნივერსიტეტის, თსუ-სა და სამხატვრო აკადემიის გუნდები დაეჯახნენ. შაბათამდე რეგულარულ გათამაშებაში უკეთესი, პლეი ოფში, გამსვლელი მე-4 ადგილი „უნივერსიტეტს" ეკავა და ფრის შემთხვევაშიც გადიოდა პლეი ოფში, მაგრამ „აკადემიასთან" უდაძაბულეს ჯახში ვერაფერს გახდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „აკადემია" გაუშვა.

პლეი ოფი, როგორც ბოლო წლები, ეგრეთ წოდებული ავსტრალიური სისტემით გაიმართება. ამ განრიგის მთავარი მუღამი ის არის, რომ რეგულარულ ჩემპიონატში მოწინავე ოთხეული რამდენიმე ტურით ადრე მაინც თუ გამოიკვეთა, ვინ რომელ ადგილს დაიკავებს, ამასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ავსტრალიური პლეი ოფით ნახევარფინალში პირველ-მეორეადგილოსნები ერთმანეთს ხვდებიან. მათ შორის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში გადის, წაგებული კი შანსს ინარჩუნებს და მეორე ნახევარფინალში მოგებულს ელოდება. მესამეადგილოსანი კი მეოთხეადგილოსანს ხვდება. ამათგან წაგებული მე-4 ადგილებს იკავებს, გამარჯვებული კი პირველ-მეორეადგილოსანს შორის წაგებულს ხვდება და იქ მოგებული გადის დიდ ფინალში. ანუ პირველ და მეორეადგილოსანს შორის წაგებულს კიდევ ეძლევა შანსი, მესამე-მეოთხე გუნდს შორის მოგებულს შეხვდეს და იქიდან შეეცადოს ფინალში მოხვედრას.

პლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ლოკომოტივი — ლელო, ვისოლი-ყოჩები — აკადემია.

საჩემპიონო პლეი ოფის გარდა გასავარდნ-დასარჩენი პლეი ოფიც იქნება. ჩემპიონატის დებულებით, უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსანი „დინამო" ჯერ კიდევ გასულ პარასკევს დაქვეითდა პირველ ლიგაში. მართალია, „დინამოს" და ბოლოსწინაადგილოსან თბილისის „არმაზს" თანაბარი ქულები დაუგროვდათ, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა „არმაზს" ჰქონდა. „არმაზი" ახლა შინ და გარეთ პრინციპით ორმატჩა პლეი ოფს ითამაშებს მეორე ლიგის მეორადგილოსან „რუსთავთან".

ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული თუ „არმაზი" დარჩა, უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, პირიქით კი, „რუსთავი" დიდი ხნის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდება.

აქვე ვთქვათ, რომ უმაღლეს ლიგაში უკვე დაწინაურდა და გაისად შინაური რაგბის ელიტაში ითამაშებს „ბათუმი", რომელმაც პირველი ლიგა მოიგო.

**ბაჩო სვანიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 11 | 0 | 3 | 515:184 | 22 |
| ლელო | 11 | 0 | 3 | 339:243 | 22 |
| ყოჩები | 10 | 0 | 4 | 337:214 | 20 |
| აკადემია | 7 | 0 | 7 | 240:305 | 14 |
| უნივერსიტეტი | 6 | 1 | 7 | 243:274 | 13 |
| აია | 6 | 1 | 7 | 261:270 | 13 |
| არმაზი | 2 | 0 | 12 | 1237:412 | 4 |
| დინამო | 1 | 0 | 12 | 212:482 | 4 |

**პლეი ოფი**

30 ოქტომბერი. ლოკომოტივი
**ყოჩები — აკადემია 14:30 სთ**
**ლოკომოტივი — ლელო 16:30 სთ**
4 ნოემბერი. ლოკომოტივი
**მცირე ფინალი. 15 სთ**
9 ნოემბერი. ლოკომოტივი
**ფინალი. 16 სთ**

**საქართველოს ჩემპიონატი I ლიგა. XIV ტური**

26 ოქტომბერი. ანგისა
**ბათუმი 59:3 ლოკომოტივი 2**
26 ოქტომბერი. ლოკომოტივი
**TBC-თსუ 2 24:13 აია 2**
1 ნოემბერი. ქუთაისი
**აია 2 — ლელო 2**
1 ნოემბერი. ლოკომოტივი
**ლოკომოტივი 2 — ხულიგანა**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 13 | 0 | 1 | 494:135 | 26 |
| რუსთავი | 13 | 0 | 1 | 471:162 | 26 |
| ხულიგანა | 9 | 0 | 4 | 308:228 | 18 |
| ლელო 2 | 5 | 1 | 7 | 347:323 | 11 |
| აია 2 | 5 | 0 | 8 | 177:274 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 1 | 9 | 140:378 | 7 |
| TBC-თსუ 2 | 3 | 0 | 11 | 200:431 | 6 |
| დევები | 2 | 0 | 12 | 215:421 | 4 |

# შოტლანდიამ საქართველო გააორა

**გადაწყვეტილი** ამბავია: საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ სეზონს შოტლანდიის A ნაკრებთან ტესტით დაიწყებს. ეს ამბავი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ ორი კვირის წინ დაგვიდასტურა, ახლა კი ყველა საკითხი საბოლოოდ მოგვარდა.

ჩვენები შოტლანდიის A ნაკრებს 14 ნოემბერს ფერპილში ეთამაშებიან. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში შოტლანდიის რაგბის კავშირის მაღალჩინოსნები თბილისში იყვნენ და მატჩის აქ გამართვასაც დათანხმდნენ, მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდეგ აზრი შეიცვალეს და მასპინძლობა გაგვიცვალეს.

ახალი ამბავი კი ისაა, რომ შოტლანდიის A ნაკრებთან თამაშის შემდეგ ქართველი ბორჯღალოსნები ადგილზე დარჩებიან და 21 ნოემბერს ედინბურგის ნაკრებთან წაიტესტებენ. ჩვენებისთვის ეს ორი ტესტ-მატჩი ზედგამოჭრილია, რადგან საქართველოს ნაკრები ივნისის აქეთ უქმობდა. არადა, გაისად თებერვალში 2009-10 წლების ევროპის ერთა თასი იწყება, რომელიც იმავდროულად 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. იქამდე კი რაც უფრო დიდხანს იქნება ნაკრები ერთად და რაც უფრო მეტს ითამაშებს, მით უკეთესი.

**ბაჩო სვანიძე**



# ასაფრენი აფრინდა

**თბილისობაზე** საქართველოს მესამე ღია ჩემპიონატი დაიწყო ჰაერნაოსნობაში. ჩემპიონატი უკვე მესამე წელია შემოდგომით იმართება. წლეულს ჩემპიონატი შედარებით მოკრძალებით ჩატარდება და სულ ოთხი საჰერო ბურთი შეეცილება ერთმანეთს ჩემპიონობას. მიზეზი კი საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენებია...

ჩემპიონატს ორგანიზებას საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაცია, თბილისის მერია და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია უწევს. პირველობაში მონაწილეობას დიდი ბრიტანელი პილოტებიც იღებენ: კაილი კინდერი და კრის დევისი. შვედეთიდან ჩამოვიდა ლარს ერიკ მორი. უკრაინიდან კი სერგეი ხარჩუკ.

ქართველებიდან კი ძალებს რევაზ უთურგაური, ლევან რედინი და ვლადიმერ სამარგანიშვილი ცდიან.

საჰაერო ბურთები რიყიდან აფრინდნენ და ამ სანახაობას ბევრმა ადამიანმა უყურა. გუშინ ჩემპიონობისთვის ბრძოლის მთავარი ეტაპი იყო დღეს კი ჩემპიონატის დახურვა და დაჯილდოების ცერემონიაა.

ჩემპიონი ეკიპაჟი 100 ლიტრიან საფერავის კასრს „თელიანი ველისგან" მიიღებს.

**ნიკა ძოწაძე**



# ჭაბუკებმა უმაღლესი გაარკვიეს


ბადრი კოთილაძის ფოტო

**საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა ლიგა**

პირველი წრე. VII ტური
**ქუთაისი 25:27 ქარიშხალა**
**რუსთავი 26:20 სამტრედია**
**გორი 24:38 ფოთი**
**ყვარელი 10:0 ბათუმი**

საქართველოს ჩემპიონატის, ჭაბუკთა ლიგის პირველი წრის ჩემპიონი „ფოთი" გახდა, რომელმაც ძალიან იოლად დაამარცხა „გორი" და მეორეადგილოსან „რუსთავთან" ერთად, 3 ნოემბერს დასაწყები საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში აქამდე ოთხი გუნდი აპირებდა მონაწილეობას: სტუ „თბილისი", „სსსსუ-მამული" და „ქუთაისი".

საქათრველოს ხელბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ უმაღლესი ლიგის ოთხ გუნდს ჭაბუკთა ლიგის ორი მოწინავე დამატებოდა. ვთქვით, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ჭაბუკთა ლიგიდან „ფოთმა" და „რუსთავმა" მოიპოვეს. თუმცა, საქმე არც ისეა, როგორც დებულებიდან ჩანს.

როგორც გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, დიდი შანსია, და, ალბათ, ასეც მოხდება, რომ დასავლური და აღმოსავლური კლუბები გაერთიანდებიან და თითო კლუბად დაემატებიან უმაღლეს ლიგას.

დასავლეთში, სავარაუდოდ, „ფოთი" და „სამტრედია" ერთ გუნდად წარდგებიან, ხოლო აღმოსავლეთში „რუსთავი", „გორი" და „ყვარელი" გამონახავენ საერთო ენას.

რას დაირქმევენ გაერთიანებული კლუბები, ეს ჯერ უცნობია, ცნობილი კი ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა 29 ოქტომბერია.

და, ერთიც, ჭაბუკთა ლიგის ბოლო სამი ტური ჩააგდო „ბათუმმა", რომელსაც გასვლით მატჩებში წასასვლელი ფული არ აღმოაჩნდა და მეტოქეებთან ტექნიკური 0:10 წაგება ჩაეთვალა.

ჭაბუკთა ლიგის მეორე ეტაპი კი გაისად, გაზაფხულზე განახლდება.

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთი | 6 | 1 | 0 | 255-189 | 13 |
| რუსთავი | 6 | 0 | 1 | 168-133 | 12 |
| ყვარელი | 4 | 2 | 1 | 189-163 | 10 |
| სამტრედია | 4 | 0 | 3 | 200-176 | 8 |
| ქარიშხალა | 3 | 1 | 5 | 176-195 | 4 |
| გორი | 1 | 0 | 6 | 150-233 | 2 |
| ბათუმი | 0 | 0 | 7 | 60-129 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჯუმბერ ხუნჯუა (ფოთი) | 103 |
| გიორგი აღამია (ქუთაისი) | 61 |
| ანზორ თუთბერიძე (ქუთაისი) | 59 |
| ელგუჯა ხაბაზიშვილი (გორი) | 56 |
| დავით მქელური (რუსთავი) | 48 |
| გოგიტა ნიკურაძე (სამტრედია) | 48 |



## ოძელაშვილმა ლიპარტელიანი ვეღარ გააგრძელა

**ტაილანდში** გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ქართველებისთვის მხოლოდ ერთი მედლის მომტანი გამოდგა.

ტურნირის მე-2 დღეს, რაც ვარლამ ლიპარტელიანის ოქროს მედალმა გაგვახარა, ეს იყო და ეს...

გუშინ ქალებში ნინო ოძელაშვილს შეეძლო ბრინჯაოს მედლის აღება, მაგრამ ფეხი დაუცდა. ჩვენი დანარჩენი ფალავნები კი, მსუბუქად რომ ითქვას, უსახურად გამოვიდნენ.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზაზა ლავაძემ ქიქაო ქენგი წააქცია იპონზე, მაგრამ მე-2 შეხვედრაში შვეიცარიელი მაიკ ჩავანესისგან დაიჩაგრა და გამოეთიშა ტურნირს.

73 კგ-ში ავთანდილ ჭრიკიშვილმა ჯგუფში იემენელი გალიდ ალ-კაბზარი და ლატვიელი არტურს კურბანოვსი იუკოებით დაამარცხა. თუმც ჯგუფიდან გამსვლელ ორთაბრძოლაში იუკოთივე წააგო გერმანელ მაქსიმ ლამბერტთან და ვეღარც რეპეშაჟში განაგრძო ასპარეზობა.

66 და 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველივე შეხვედრებში წააგეს თემურ აფაქიძემ და მიხეილ მეკოკიშვილმა. მათ აღარც დამამშვიდებელში მოუწიათ ჭიდაობა.

78 კგ-ში ნინო ოძელაშვილმა ჯერ ნიდერლანდელ ჯანეტ ვიზერს მოუგო ორი ვაზარით, შემდეგ მასპინძელ ჩუმარინ პონგსანგს გაუსწორდა იპონით, მე-3 შეხვედრა კი დათმო ამერიკელ კაილა ჰარისონთან. რეპეშაჟში ოძელაშვილმა უკრაინელი ივანა მაკუხა დააიპონა, მე-3 ადგილისთვის კი შვეიცარიელ ლადია კამპესტრინთან წააგო.

ასე რომ, საქართველოს ნაკრების ვოიაჟი ტაილანდურ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ერთადერთი ოქროს მედლით დასრულდა.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭადრაკი

## საქართველო ოლიმპიადისთვის კაც-ქალიანად შეირჩა

12-26 ნოემბერს გერმანიაში, ქალაქ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. ოლიმპიადაზე საქართველოს კაცთა და ქალთა ნაკრებები ითამაშებენ. სადრეზდენოდ გუშინ ბაკურიანში თორმეტდღიანი შეკრება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კაცთა ნაკრების მწვრთნელს ხვიჩა სუპატაშვილს ვესაუბრეთ

— რამდენად ოპტიმალურია შემადგენლობა და რა შედეგს გეგმავთ ოლიმპიადაზე?

— ამ დროისთვის შემადგენლობა ოპტიმალურია. გერმანიაში ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია და დავით არუთუნიანი ითამაშებენ. მათგან ბაკურიანის შეკრებაზე მხოლოდ ზვიად იზორია არ იქნება. იგი ამჟამად ამერიკაშია და იქ გადის მოსამზადებელ ეტაპს. რაც შეეხება გეგმებს, გეტყვით, რომ მინიმუმ მე-6 ადგილზე გასვლას ვაპირებთ და ეს წარმატებად ჩაითვლება, ვინაიდან რეიტინგში მეთხუთმეტე ადგილზე ვართ. მაქსიმუმი კი, რა თქმა უნდა, მედლისთვის ბრძოლა იქნება.

— რამდენად წარმომადგენლობითი იქნება ოლიმპიადა?

— გერმანულ ტურნირში მსოფლიოს ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ითამაშებს. ოლიმპიადაზე გამოვლენ ვლადიმერ კრამნიკიც და ვიშვანათან ანანდიც.

— ახლა რა ვითარებაა გუნდში?

— მოთამაშეები მეტ-ნაკლებად ფორმაში არიან. შეკრებაზე უფრო გამოჩნდება ხარვეზები და მათ გამოსწორებას შევეცდებით. ქალთა ნაკრების ლიდერ მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელიც ვარ. მაია ამჟამად კარგ ფორმაშია, მან გასული საკლუბო ევროპის ჩემპიონატი წაუგებლად ჩაატარა და ვგონებ, ოლიმპიადაზეც წარმატებით ითამაშებს.

*ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით წარდგება: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფო ხუხაშვილი.*

**ზურაბ მიგრიაული**

ცხენოსნობა

## ბაქოში თასი თავადვე გამოცალეს
### მაგრამ სტუმრებმაც ბრჭყალები გამოაჩინეს

**დაბრკოლებათა** გადალახვაში „კავკასიის თასის“ პირად ტურნირზეა საუბარი. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) მიერ 2000 წლიდან დაწესებული ეს ამიერკავკასიური ასპარეზობა წელს მეცხრედ ჩატარდა, ამჯერად ბაქოში. აზერბაიჯანმა პირველად უმასპინძლა ამ ტურნირს, რომელშიც 2005 წლამდე „კავკასიის თასით“ ოთხ-ოთხი მხედრისგან შემდგარი გუნდი ჯილდოვდებოდა. დასკვნით გუნდურ ასპარეზობას წინ უძღოდა პირადი შეჯიბრებები კონკურის სხვადასხვა სახეობებში, რომელთაგან უმთავრესი იყო „დიდი პრიზი“ („გრან პრი“).

ეს ასპარეზობა პირველად 2000 წელს ჩატარდა ერევანში. მასში გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ 2 ამიერკავკასიური გუნდი — სომხეთისა და საქართველოსი — მონაწილეობდა (მესამე ბულგარეთის გუნდი იყო). მას შემდეგ ფეი-მ ეს ტურნირი ტრადიციული გახადა და მას წლევანდელ შემოდგომამდე თბილისი მასპინძლობდა. პირველ ტურნირზე გუნდური ასპარეზობა სომხეთის გუნდმა მცირე უპირატესობით მოუგო II ადგილზე გასულ საქართველოს მხედრებს. 2001 წლიდან, ვიდრე სომხეთს გუნდი ჩამოჰყავდა, გუნდურ „კავკასიის თასს“ საქართველოს ცხენოსნები იგებდნენ (II ადგილი აზერბაიჯანის იყო). მკითხველს გავაცნობთ იმ წლების ჩვენი გუნდის ცხენ-მხედართა შემადგენლობებს: 2000 წ: როინ მარგიანი („სადახლო“), კ. კიკიანი („მილი“), ზაზა ჩიტრეკაშვილი („ევრიკლი“), გიორგი სამხარაძე („პაგი“). 2001 წ: გოგიტა კოდუა („გალერა“), ირაკლი ნარმანია („ბრაუნი“), გ. სამხარაძე („პაგი“), კ. კიკიანი („მილი“). 2002: ოთარ ნარმანია („ბრაუნი“), გ. სამხარაძე („პაგი“), ირაკლი ბულისკერია („გალერა“), კ. კიკიანი („მილი“); 2003: ი. ნარმანია („ბრაუნი“). გიორგი ჩიქოვანი („გარსია“), ი. ბულისკერია („გულერა“), ცოტნე ლაბაშია („პაგი“), 2004: ი. ბულესკერია („გალერა“), გეგი მეტონიძე („დავლური“), ც. ლაბაშია („პაგი), ი. ნარმანია („ბრაუნი“), სამჯერ ზედიზედ გამარჯვების შემდეგ რახან „კავკასიის თასი“ საქართველოს გუნდს სამუდამოდ გადაეცა, 2004-ში იგი ახალი თასით დაჯილდოვდა; მაგრამ ეს გუნდური ჯილდო ჯერჯერობით ბოლო გამოდგა, სომხეთის სპორტსმენებმა ჯერ გუნდი ვერ გამოიყვანეს, ხოლო შემდეგ საერთოდ გამოეთიშნენ ამ კავკასიურ მხედრულ პაექრობას, რომელიც ფაქტობრივად პირადი დიდი პრიზის (ამჯერად „კავკასიის თასის“) გათამაშებით შემოიფარგლა.

ეს პრიზი კი ქართველ მხედრებს გუნდური ტურნირების დროსაც კარგად ჰქონდათ დაცდილი: ერევანში, პირველი ასპარეზობაზე იგი გ. სამხარაძემ მოიპოვა, შემდეგ მისი მფლობელები მიყოლებით გახდნენ კ. კიკიანი, ი. ბულისკერია და ი. ნარმანია (2004). მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა სომეხმა მხედარმა (ნ. სტეფანიანმა) 2003 წელს, 2005-ში კვლავ ი. ნარმანიამ იმარჯვა (უკვე გაპირადებულ „კავკასიის თასის“ ასპარეზობაზე), შარშანწინ და შარშან კი აზერბაიჯანელმა მხედრებმა დიდი უპირატესობით მოიგეს ეს საერთაშორისო ტურნირები (ს. მუსაევი, ო. ჯაფაროვი).

წელს საქართველოს გუნდი, ამჯერად უკვე ბაქოს საკონკურო მოედანზე ცხენების გარკვეულად გაძლიერებული შემადგენლობით წარდგა. ერთი რამ თითქოს მაინც გამოიკვეთა: 140 სმ-ის სიმაღლის დაბრკოლებებისგან შემდგარი კონკური უკვე ნამდვილად აღარაა წყალგამყოფი მიჯნა ჩვენსა და აზერბაიჯანელ მხედრებს შორის.

გუშინწინ თასის ასპარეზობაზე (მაქს. სიმაღლე 145 სმ) თბილისის იპოდრომის მხედარმა შალვა გაჩეჩილაძემ თავისი ახალი თრაკენული იაბოთი („ეკლერი“) ორჰიტიან კონკურში თითო დაბრკოლება დააზიანა და III ადგილი დაიკავა ბაქოელი მხედრების შემდეგ. ვანო ნორაკიძე ტურნირის პირველ დღეს გახსნის პრიზზე შესანიშნავად გამოვიდა. ასევე ახალი ბუდიონური იაბოთი („დარი“) — I ადგილი, ხოლო „სარბიელის“ მკითხველთათვის ნაცნობი, შეზრდილი „ეროსით“ III ადგილიც მოუპოვა ჩვენს გუნდს. როგორც დანანებით გადმოგვცეს, მან თასის ასპარეზობაზეც I ჰიტი კარგად გაიარა ახალი ბუდიონური იაბოთი („დარი“), II ჰიტშიც უშეცდომოდ მიდიოდა, მაგრამ ბოლო მონაკვეთზე შეფერხდა და მოიხსნა.

თასის კონკური, როგორც წესი, დასკვნითი ასპარეზობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავდრების გამო იგი გახსნის პრიზს მიაყოლეს. ამ ორი კონკურზე საქართველოს გუნდის გამოსვლა, ჩვენი აზრით, წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ქართულ ცხენოსნობას კი „თბილისის იპოდრომის“ შემდეგი მხედრები წარმოადგენდნენ: ცოტნე ლაბაშია („ფლოქვი“), ვანო ნორაკიძე („დარი“, „ეროსი“), შალვა გაჩეჩილაძე („ეკლერი“), გაგა თოხაძე („ასპარეზი“, „სატურნი“), მწვრთნელი — გელა ტატანაშვილი.

გუშინ დამთავრებული ტურნირის შედეგების ანალიზს მალევე შემოგთავაზებთ. ერთი დასკვნის გამოტანა კი ამთავითვე შეიძლება. ბაქოში (ანუ, საერთოდ, აზერბაიჯანში) მხედრები უჭირთ. ფრიად მეტყველი ფაქტია: რახან, როგორც ჩვენი სპეციალისტები ამბობენ, საკონკურო ბედაურებითა და საერთო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი კლუბი „გიუნაი“ იძულებლია თავისი 6 საუკეთესო ცხენი ორი ახალგაზრდა მხედრის იმედად ჰყავდეს (მოწვეული ბულგარელი მწვრთნელი და საერთაშორისო კლასის მოქმედი მხედარი ტ. ვენტოავალ გამხდარა და ვეღარ მიეშველა აზერბაიჯანელებს), მაინცდამაინც კარგად ვერ ჰქონიათ საქმე. მაგრამ ეს მათი გასაჭირია. ჩვენი ვითარება უფრო მძიმეა, დიახ, გვყვანან პერსპექტიული მხედრები (ახალგაზრდებიც და გამოცდილებით), ჩვენივე მწვრთნელები, მაგრამ საშიშროება ემუქრება ნორმალური საწვრთნელო კერის არსებობას, ახალი თაობის გამოვლენის შესაძლებლობებს (გაიხსენეთ დელისის გავერანებული საკონკურო მოედანი, დასანგრევად გაყიდული (ამჟამად უკვ დანგრეული) განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სკოლა.

**ნოდარ ეგრალიძე**



ვანო ნორაკიძე და მისი „ეროსი“



შალვა გაჩეჩილაძე და „ეკლერი“

# მიურეის ოქროს შემოდგომა

**კაცები**
ბაზელი. შვეიცარია
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 891 000 $

### ნახევარფინალი

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:2; დავიდ ნალბანდიანი (2, არგენტინა) — ხუან მარტინ დელ პოტრო (3, არგენტინა) 6:4 6:4**

### ფინალი

**ფედერერი — ნალბანდიანი 6:3 6:4**

ბაზელში მთავარ ყურადღებას მაინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრისთვის მებრძოლ მეჩოგნეთა გამოსვლა იპყრობდა — ბევრს იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ალპებში გამოიკვეთებოდა შანხაიში წასვლაზე პრეტენზიის მქონე მეჩოგნეთა კანდიდატურები.

მაგრამ პირიქით მოხდა, რაშიც მთავარი „დამნაშავე" დავიდ ნალბანდიანია, რომელიც ისევ ინარჩუნებს აზიაში მოხვედრის იმედს. შარშანდელისა არ იყოს, არგენტინელმა ახლაც სეზონის ბოლოს გამოიდო თავი. მართალია, ერთი წლის წინანდელ გმირობას უკვე ვერ ჩაიდენს და ზედიზედ მადრიდისა და პარიზის მასტერსებს ვეღარ მოიგებს, რადგანაც ესპანეთში უკვე ჩაფლავდა, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში წარმატებით თამაშის შემთხვევაში მიზნის მიღწევის მშვენიერი შანსი ექნება.

ისე, ნალბანდიანს შანხაიში მოხვედრის იმედი მხოლოდ იმიტომღა აქვს, რომ ნახევარფინალში თანამემამულე ხუან მარტინ დელ პოტროს დამარცხება შეძლო. არადა, თინეიჯერ არგენტინელს რომ ემარჯვა, საბოლოოდ გაინაღდებდა წლის უკანასკნელ ტურნირზე თამაშის უფლებას, თუმც დელ პოტროს ისედაც კარგი შანსები აქვს, რადგანაც რეიტინგში მეშვიდე ადგილამდე აღზევდა (საიდანაც დავიდ ფერერი დაიფრინა).

სამაგიეროდ, საზიზღარ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი ჯეიმს ბლეიკმა, რომელიც ბაზელში მეოთხედფინალს ვერ გასცდა და ახლა სასწაულიღა თუ უშველის.

ჩემპიონობა კი ადგილობრივთა გასახარად როჯერ ფედერერს დარჩა. დიადმა ალპელმა უკვე მესამედ იხეირა საკუთარი ტრიბუნების წინ და კარიერული მონაგარი 57 ტიტულამდე აიყვანა.

**კაცები**
ლიონი. საფრანგეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 713 000 $

### ნახევარფინალი

**რობინ სოდერლინგი (7, შვედეთი) — ჟილ სიმონი (4, საფრანგეთი) 5:7 6:3 6:3; ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (3, საფრანგეთი) 7:6 7:5**

### ფინალი

**სოდერლინგი — ბენეტო 6:3 6:7 6:1**

შანხაიში წასვლის პრეტენზიის მქონე კიდევ ერთი ჩოგბურთელი თამაშობდა ლიონში — საუბარი ჟილ სიმონზე გვაქვს, რომელიც წლეულს ყველასთვის მოულოდნელად იქცა სერიოზულ ძალად. ამ ფრანგისთვის ახლა ყოველ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ლიონში თავს არ ზოგავდა.

თუმც სიმონს ვერც ამან უშველა, რადგანაც გზად რობინ სოდერლინგი გადაეღობა — ეს შვედი კი დარბაზში ყოველთვის დიდებულად თამაშობდა და გამონაკლისი არც ეს სეზონია. ვიკინგმა სიმონამდე შანხაიში მოსახვედრად მებრძოლი კიდევ ერთი მეჩოგნე გაამწარა ენდი როდიკის სახით, შემდეგ არც ფრანგი დაინდო და ამით კარიერაში მეოთხე ფინალს უწია. სხვათა შორის, ოთხივეჯერ მან ეს დარბაზში თამაშით მოახერხა.

ფინალში სოდერლინგი კიდევ ერთ ფრანგ ჟულიენ ბენეტოს გადააწყდა და წვალებით, მაგრამ მაინც იხეირა. შვედმა მხოლოდ მესამე სეტში შეძლო მასპინძლის გატეხვა და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ლიონში ისევ იჩემპიონა. სულ კარიერაში კი ეს სოდერლინგის მესამე ტიტულია.




**კაცები**
სანქტ-პეტერბურგი. რუსეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 049 000 $

### ნახევარფინალი

**ენდი მიურეი (1, ბრიტანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (3, ესპანეთი) 6:0 6:3; ანდრეი გოლუბევი (ყაზახეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3 6:0**

### ფინალი

**მიურეი — გოლუბევი 6:1 6:1**

ენდი მიურეის ოდნავადაც არ გასჭირვებია ტიტულის შენარჩუნება — ახალგაზრდა ბრიტანელისთვის შარშან იყო სანქტ-პეტერბურგული ტიტულის მოგება ძნელი, თორემ წლეულს ისეთ ფორმაშია და იმ დონეზე ჩოგნაობს, რომ რუსეთის ჩრდილო დედაქალაქში მის წინააღმდეგ გასული მეტოქეები ერთ ლუკმად არ ეყო. შოტლანდიელს არც სეტი წაუგია და ტაიბრეკზეც კი არ უთამაშია, იმდენად მაღლა იდგა ყველაზე.

ამის დასტურად ფინალიც კმარა, სადაც ენდიმ დაუნდობლად გადაურბინა ანდრეი გოლუბევს — ეს ბიჭი წარმოშობითა და დაბადებით რუსია, მაგრამ ცოტა ხნის წინ ყაზახეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის სახელითაც ამიტომ გამოდის.

მიურეი კი ზედიზედ მეორე კვირაა ახერხებს ტიტულის მოგებას, 7 დღის წინ ხომ მან მადრიდის მასტერსზე იჩემპიონა. შედეგად ის პირველ ბრიტანელია 1975 წლის შემდეგ, ვინც ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო — 33 წლის წინ ეს მარკ კოქსმა შეძლო.

**ქალები**
ლინცი. ავსტრია
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

### ნახევარფინალი

**ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) — აგნეშკა რადვანსკა (3, პოლონეთი) 6:2 3:6 7:5; ვერა ზვონარიოვა (2, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (6, საფრანგეთი) 6:0 6:1**

### ფინალი

**ივანოვიჩი — ზვონარიოვა 6:2 6:1**

როგორც იქნა, ანა ივანოვიჩიც გამოერკვა ლეთარგიული ძილიდან. ივნისის დასაწყისში მოგებული „როლან გაროსის" შემდეგ სერბი ლამაზმანი კარგა ხნით გაქრა საჩოგბურთო სამყაროს პირველი რიგებიდან. ანას შესახებ ბულვარულ პრესაში უფრო ხშირად გაიგონებდით, როცა მას რომელიმე წვეულებაზე შენიშნავდნენ, ანაც მორიგ ფოტო-სესიებს იღებდა, ვიდრე სპორტულ სიახლეებში.

ლინცამდე, საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ, ივანოვიჩი კორტზე 14-ჯერ გავიდა და აქედან 7-ჯერ დამარცხდა, თან მხოლოდ ერთხელ შეძლო ზედიზედ ორი მატჩის მოგება. მაგრამ ავსტრიაში ყველაფერი შეიცვალა. ანა კარგა ხანია იძახდა, სპორტი ჩემთვის უმთავრესია და ამას მალევე დავამტკიცებო და ეტყობა, სიტყვას მართლა ასრულებს.

ივანოვიჩმა მართლაც გატეხა ნავსი და ლინცში გამარჯვებით კარგ ხასიათზე შეხვდება ქალთა წლის შემაჯამებელ ტურნირს. მართალია, ანა უნაკლო არც აქ ყოფილა, განსაკუთრებით ეს აგნეშკა რადვანსკასთან ნახევარფინალურ მატჩს ეხება, სადაც სერბმა ბლომად ბრიყვული შეცდომები დაუშვა. მაგრამ ხომ თქმულა, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო და მოდით ჩვენც შევეშვათ მის კრიტიკას, განსაკუთრებით ფინალში ნაჩვენები სუპერჩოგბურთის შემდეგ, როცა ივანოვიჩმა პირწმინდად დაჩაგრა ბოლო თვეების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მეჩოგნე ვერა ზვონარიოვა და წლეულს თავისი მესამე ტიტული მოიგო.

**ქალები**
ლუქსემბურგი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 225 000 $

### ნახევარფინალი

**ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) — სორანა კირსტეა (8, რუმინეთი) 6:2 6:2; კაროლინ ვოზნიაკი (4, დანია) — ნა ლი (6, ჩინეთი) 7:6 3:6 6:2**

### ფინალი

**დემენტიევა — ვოზნიაკი 2:6 6:4 7:6**

**ტაბა ლომაყშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

NHL

**24 ოქტომბერი**

**ნიუ ჯერსი 3:6 ფილადელფია**
3:2 0:2 0:2
1:0 ზაიჯაკი (1), 1:1 კარტერი (2), 1:2 კნუბლი (12), 2:2 ზუბრუსი (16), 3:2 პარიზე (20), 3:3 განიე (32), 3:4 ჰარტნელი (37), 3:5 ლუპული (52), 3:6 ჰარტნელი (59)

**ოტავა 3:4 ანაჰაიმი**
0:1 0:3 3:0
0:1 სატერბი (11), 0:2 მარშანი (21), 0:3 პალსონი (28), 0:4 გეცლაფი (31), 1:4 ალფრედსონი (47), 2:4 პიკარი (48), 3:4 ნილი (51)

**კოლუმბუსი 1:3 რეინჯერსი**
1:0 0:2 0:1
1:0 ვორაჩეკი (14), 1:1 ჟირარდი (29), 1:2 დუბინსკი (33), 1:4 ძერდევი (54)

**ფლორიდა 4:3 სან ხოსე**
3:1 1:2 0:0
0:1 ტორნტონი (1), 1:1 სტილმანი (8), 2:1 ზედნიკი (15), 3:1 ჰორტონი (16), 3:2 კლოუ (32), 3:3 მარლო (38), 4:3 სტილმანი (39)

**დეტროიტი 5:3 ატლანტა**
2:1 2:0 1:2
1:0 ზეტერბერგი (3), 1:1 სლეიტერი (15), 2:1 ჰოსა (16), 3:1 ჰოსა (26), 4:1 ზეტერბერგი (27), 4:2 ჰეინსი (45), 4:3 სტერლინგი (57), 5:3 კლირი (60)

**სენტ ლუისი 0:4 ლოს ანჯელესი**
0:2 0:0 0:2
0:1 კვინსი (13), 0:2 ოსალივანი (18), 0:3 სტოლი (44), 0:4 ბრაუნი (51)

**25 ოქტომბერი**

**ფილადელფია 3:2 ნიუ ჯერსი**
1:0 1:2 0:0 1:0 (ოვერტაიმში)
1:0 კნუბლი (10), 1:1 პარიზე (21), 2:1 ჰარტნელი (30), 2:2 ჯიონტა (39), 3:2 კარტერი (64)

**ტორონტო 3:2 ოტავა**
1:0 1:1 1:1
1:0 მური (15), 2:0 გრაბოვსკი (23), 2:1 დონოვანი (25), 3:1 პონიკაროვსკი (54), 3:2 მაკამონდი (60)

**რეინჯერსი 3:2 პიტსბურგი**
0:1 0:1 2:0 0:0 (1:0 ბულიტებით)
0:1 სიდორი (10), 0:2 კროსბი (36), 1:2 ნესლუნდი (46), 2:2 ძერდევი (60)

**აილენდერსი 3:4 კაროლინა**
0:2 1:1 2:1
0:1 ლაროუზი (4), 0:2 ბრინდამორი (9), 1:2 მეიერი (24), 1:3 სტაალი (31), 2:3 ბერგენჰეიმი (46), 2:4 ლაროუზი (48), 3:4 შტრაიტი (51)

**მონრეალი 4:6 ანაჰაიმი**
2:2 1:3 1:1
0:1 ჰესკინსი (3), 0:2 გეცლაფი (6), 1:2 ტანგეი (12), 2:2 კოივუ (17), 3:2 კოსტოპულოსი (22), 3:3 პერი (23), 3:4 კუნიცი (25), 3:5 მოენი (37), 3:6 სელიანე (46), 4:6 ტანგეი (54)

**ბოსტონი 5:4 ატლანტა**
0:2 3:1 2:1
0:1 უილიამსი (16), 0:2 შნეიდერი (20), 1:2 იელი (24), 2:2 ლუჩიჩი (26), 2:3 კოვალჩუკი (31), 3:3 კრეიჩი (35), 4:3 ლუჩიჩი (46), 4:4 კოზლოვი (48), 5:4 ლუჩიჩი (59)

**ტამპა 0:3 სან ხოსე**
0:0 0:2 0:1
0:1 გოჩი (28), 0:2 კლოუ (38), 0:3 სეტოგუჩი (57)

**ნეშვილი 5:4 ლოს ანჯელესი**
3:0 0:2 2:2
1:0 ჯონსი (10), 2:0 დიუმონი (11), 3:0 ერატი (13), 3:1 სტოლი (31), 3:2 სტოლი (35), 4:2 სმიტსონი (51), 5:2 ტუტუ (53), 5:3 ბრაუნი (55), 5:4 ფროლოვი (59)

**მინესოტა 2:1 კოლუმბუსი**
1:0 0:0 1:1
1:0 ბუშარი (20), 2:0 ნოლანი (48), 2:1 კლესლა (52)

**სენტ ლუისი 4:0 ფლორიდა**
1:0 2:0 1:0
1:0 ბოისი (16), 2:0 კარია (21), 3:0 ტკაჩუკი (34), 4:0 ბოისი (45)

**ჩიკაგო 5:6 დეტროიტი**
1:1 3:1 1:3 0:0 (0:1 ბულიტებით)
0:1 ფრენცენი (2), 1:1 ვერსტიგი (17), 2:1 ჯონსონი (22), 2:2 ჰოსა (29), 3:2 ჰავლატი (32), 4:2 იგერი (35), 4:3 კრონვალი (43), 4:4 დაციუკი (44), 4:5 გუდლერი (50), 5:5 კეინი (53)

**კოლორადო 2:1 ბუფალო**
0:0 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)
0:1 პაი (30), 1:1 ლეოპოლდი (54)

**დალასი 5:6 ვაშინგტონი**
2:2 1:2 2:1 0:1 (ოვერტაიმში)
1:0 ეივერი (11), 1:1 ფიოდოროვი (13), 1:2 ფლეიშმანი (17), 2:2 ბრუნსტრომი (20), 2:3 ფიოდოროვი (32), 2:4 ფლეიშმანი (36), 3:4 კრომბინი (36), 4:4 ერიქსონი (41), 4:5 სლოუნი (43), 5:5 მოდანო (60), 5:6 სიომინი (63)

**ვანკუვერი 6:3 ედმონტონი**
1:0 2:3 3:0
1:0 რეიმონდი (4), 1:1 გრებეშკოვი (21), 2:1 რეიმონდი (28), 3:1 ჰანსენი (29), 3:2 ნილსონი (34), 3:3 სტეიოში (37), 4:3 ველუდი (43), 5:3 ჰანსენი (48), 6:3 კროგი (57)

**ფინიქსი 1:4 კალგარი**
1:2 0:1 0:1
0:1 ბერტუცი (4), 0:2 პრასტი (16), 1:2 ფედორუკი (19), 1:3 ფანაფი (27), 1:4 იგინლა (60)



კოლორადოელი რაიან სმითი ბუფალოელებთან გამარჯვებას ზეიმობს

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 61 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.95 | 3.30 | 3.85 | 1.22 | 1.29 | 1.77 |
| | | 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 50 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.45 | 4.00 | 7.50 | 1.06 | 1.21 | 2.60 |
| 23:55 | 52 | ბოლტონი-ევერტონი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:45 | 53 | ჰალი-ჩელსი | 6.70 | 3.80 | 1.50 | 2.42 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 54 | სტოკი-სანდერლენდი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 23:55 | 55 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.25 | 5.50 | 11.00 | 1.01 | 1.12 | 3.66 |
| 23:55 | 56 | მიდლსბრო-სიტი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:45 | 57 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1.75 | 3.40 | 4.65 | 1.15 | 1.27 | 1.96 |
| 23:55 | 58 | ფულემი-უიგანი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| 23:55 | 59 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.40 | 4.00 | 7.70 | 1.03 | 1.18 | 2.63 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 62 | ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 22:30 | 63 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.70 | 3.25 | 2.00 | 1.73 | 1.29 | 1.23 |
| 20:00 | 64 | სტოკი-არსენალი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 19:00 | 65 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 20:00 | 67 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 68 | მანჩესტერი-ჰალი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 17:45 | 69 | ევერტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 20:00 | 70 | პორტსმუთი-უიგანი | 1.75 | 3.30 | 4.45 | 1.14 | 1.25 | 1.89 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 71 | ბოლტონი-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 66 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 72 | ქპრ-ბირმინგემი | 2.60 | 3.25 | 2.45 | 1.44 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 73 | უენსდი-პლიმუთი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 23:45 | 74 | საუთჰემპტონი-ქოვენთრი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 75 | ბრისტოლი-შეფილდი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:45 | 76 | ვულვერჰემპტონი-სუონსი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| 23:45 | 77 | ბარნლი-რედინგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 23:45 | 78 | კარდიფი-ბლეკპული | 1.80 | 3.30 | 4.05 | 1.16 | 1.24 | 1.81 |
| 23:55 | 79 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 1.65 | 3.45 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 2.01 |
| 23:45 | 80 | დერბი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 81 | დონკასტერი-ბარნსლი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 82 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 23:45 | 83 | პრესტონი-უოტფორდი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 96 | საუთენდი-ლიდსი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 97 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 98 | უოლსოლი-სუინდონი | 1.95 | 3.25 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.69 |
| 23:45 | 99 | ბრაიტონი-ლესტერი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 23:45 | 100 | კარლაილი-ჰარტლპული | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 101 | ქრიუ-პიტერბრო | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 102 | ჰადერსფილდი-იოვილი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 103 | ლეიტონი-დონსი | 2.85 | 3.25 | 2.25 | 1.51 | 1.25 | 1.32 |
| 23:45 | 104 | მილუოლი-ჰერეფორდი | 1.55 | 3.60 | 5.85 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 23:45 | 105 | ნორთჰემპტონი-კოლჩესტერი | 2.10 | 3.25 | 3.20 | 1.27 | 1.26 | 1.61 |
| 23:45 | 106 | ოლდემი-სქანთორპი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 120 | როთერჰემი-დარლინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 121 | შრიუსბერი-ბარნეტი | 1.55 | 3.60 | 5.65 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 23:45 | 122 | ალდერშოტი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.25 | 3.10 | 1.29 | 1.26 | 1.58 |
| 23:45 | 123 | უიკომბი-მაკლსფილდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:45 | 124 | ბრედფორდი-ბერი | 2.00 | 3.25 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.69 |
| 23:45 | 125 | ჩესტერი-ბრენტფორდი | 3.00 | 3.25 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.31 |
| 23:45 | 126 | დაგენემი-გრიმსბი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 23:45 | 127 | ექსეტერი-ჩესტერფილდი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 23:45 | 128 | ლინკოლნი-ჯილინგემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 129 | ლუტონი-ბორნმუთი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 130 | მორქემბი-აკრინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 131 | ნოტსი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 152 | სელისბერი-ქროული | 2.65 | 3.25 | 2.35 | 1.45 | 1.24 | 1.36 |
| | | ჩრდ ირლანდია. 1 ლიგა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 197 | კლიფტონვილი-ლინფილდი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:10 | 310 | ვინტერთური-ვილი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 319 | ტორინო-ატალანტა | 2.35 | 2.90 | 3.20 | 1.29 | 1.35 | 1.52 |
| 23:30 | 320 | ფიორენტინა-ინტერი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 23:30 | 321 | ფიორენტინა-ინტერი 1:0 | 1.00 | | | | | |
| 23:30 | 322 | რომა-სამპდორია | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 23:30 | 323 | კიევო-ლაციო | 3.10 | 2.90 | 2.30 | 1.49 | 1.32 | 1.28 |
| 23:30 | 324 | ნაპოლი-რეჯინა | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:30 | 325 | ნაპოლი-რეჯინა 0:1 | 1.00 | | | | | |
| 23:30 | 326 | კატანია-უდინეზე | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 23:30 | 327 | მილანი-სიენა | 1.25 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.28 |
| 23:30 | 328 | ბოლონია-იუვენტუსი | 4.30 | 3.25 | 1.90 | 1.85 | 1.31 | 1.19 |
| 23:30 | 329 | ლეჩე-პალერმო | 2.50 | 3.00 | 2.85 | 1.36 | 1.33 | 1.46 |
| 23:30 | 330 | ჯენოა-კალიარი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 447 | ბორდო-ლე ავრი | 1.40 | 4.30 | 8.50 | 1.05 | 1.20 | 2.85 |
| | | 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 448 | კაენი-ნიცა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:00 | 449 | გრენობლი-ლილი | 2.60 | 2.90 | 3.00 | 1.37 | 1.39 | 1.47 |
| 22:00 | 450 | ლე მანი-ოსერი | 1.90 | 3.00 | 4.90 | 1.16 | 1.36 | 1.86 |
| 22:00 | 451 | ლე მანი-ოსერი 0:1 | 1.00 | | | | | |
| 22:00 | 452 | მონაკო-ნანსი | 2.10 | 3.00 | 3.65 | 1.23 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 453 | ნანტი-მარსელი | 3.45 | 3.10 | 2.25 | 1.63 | 1.36 | 1.30 |
| 22:00 | 454 | პსჟ-ტულუზი | 1.90 | 3.11 | 5.00 | 1.17 | 1.37 | 1.91 |
| 23:55 | 455 | სტ-ეტიენი-ლორიანი | 1.70 | 3.20 | 5.50 | 1.11 | 1.29 | 2.02 |
| 22:00 | 456 | სოშო-ლიონი | 4.80 | 3.20 | 1.70 | 1.91 | 1.25 | 1.11 |
| 22:00 | 457 | სოშო-ლიონი 1:0 | 1.00 | | | | | |
| 22:00 | 458 | ვალენსიენი-რენი | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 471 | აიაჩო-სტრასბური | 2.65 | 2.90 | 2.75 | 1.38 | 1.34 | 1.41 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 48 | ბრაგა-ამადორა | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 49 | დინამო-ცსკა | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:15 | 600 | ბოლესლავი-სლავია | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 634 | ესბიერგი-სიონდერიისკე | 1.75 | 3.60 | 4.10 | 1.17 | 1.22 | 1.91 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 664 | აიკ-იორებრო | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 22:00 | 665 | ლიუნგსკილე-მალმიო | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 22:00 | 666 | სუნდსვალი-ნორჩიოპინგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 848 | ლულეო-ფერიესტადი | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 22:00 | 849 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| 22:00 | 850 | როგლე-ფრიოლუნდა | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 851 | აიკ-ტიმრე | 1.80 | 4.00 | 2.70 | 1.24 | 1.08 | 1.61 |
| 21:00 | 852 | მოდო-ბრიუნესი | 1.80 | 4.00 | 2.70 | 1.24 | 1.08 | 1.61 |
| 21:00 | 853 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1.55 | 4.20 | 3.65 | 1.13 | 1.08 | 1.95 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 871 | ჰელსინკი-კუოპიო | 1.70 | 4.20 | 3.25 | 1.21 | 1.11 | 1.83 |
| 19:30 | 872 | ჰაამეენლინა-ლუკო | 1.80 | 4.20 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| 19:30 | 873 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.95 | 4.20 | 2.65 | 1.33 | 1.12 | 1.62 |
| 19:30 | 874 | სეიპა-ილვესი | 2.15 | 4.10 | 2.35 | 1.41 | 1.12 | 1.49 |
| 19:30 | 875 | ტაპარა-ესეტი | 1.65 | 4.20 | 3.40 | 1.18 | 1.11 | 1.87 |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 876 | კერპეტი-ტურკუ | 1.45 | 4.50 | 4.60 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| 19:30 | 877 | ლუკო-ტაპარა | 1.85 | 4.10 | 3.00 | 1.27 | 1.14 | 1.73 |
| 19:30 | 878 | პელიკანსი-სეიპა | 1.70 | 4.30 | 3.40 | 1.21 | 1.13 | 1.89 |
| 19:30 | 879 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 19:30 | 880 | ჰაამეენლინა-იუვესკიულე | 2.05 | 4.10 | 2.55 | 1.36 | 1.13 | 1.57 |
| 19:30 | 881 | კუოპიო-ესეტი | 1.90 | 4.20 | 2.90 | 1.30 | 1.14 | 1.71 |
| 19:30 | 882 | ილვესი-ესპოო | 2.40 | 4.10 | 2.15 | 1.51 | 1.13 | 1.41 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 1001 | კანტუ-აველინო | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ევროდევიდობა გადაწყვეტილია




**დევიდ ბექჰემის** რამდენიმეთვიანი მილანელობა ჩათვალეთ, რომ გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ, როგორც თავად ვარსკვლავი ამბობს, „ლოს ანჯელეს გელექსიდან“ ევროპაში მუდმივ გადაბარგებაზე ლაპარაკიც არ არის.

„ეს უბრალოდ ფორმის შენარჩუნების საშუალებას მომცემს — განმარტა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა — და „გელექსიშიც“ შესაბამისად მომზადებული დავბრუნდები. მოკლედ, „მილანში“ ჩემი დროებით გადასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკიდან სადმე გავრბივარ. მე „გელექსის“ ერთგულ ფეხბურთელად უნდა მიგულოთ. ლოს ანჯელესში ჯილდოების მოსაგებად ჩამოვედი და მიზანს ავისრულებ კიდეც“.

არადა, მოგეხსენებათ, ამ ტრანსფერის შესახებ ჯერ კიდევ პირველი ჭორების დარხევა და „ლოს ანჯელეს გელექსის“ ოფისიდან აღშფოთებული ხმების მოსმენა ერთი იყო. აღშფოთდა ცნობილი ამერიკელი მწვრთნელი, ბოლოხანს სწორედ „გელექსის“ თავკაცი ბრიუს არენა. ბევრი დაიწერა იმის შესახებაც, რომ 33 წლის ინგლისელი ვარსკვლავის „მილანში“ გადასვლის იდეა, არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის ეროვნული გუნდის შეფისგან, ფაბიო კაპელოსგან მოდიოდა.

მაგრამ, მეორე მხრივ, არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ როგორც კი ბექჰემი კვლავ იგრძნობს ევროპული ფეხბურთის გემოს, გუნება შეეცვლება და ამერიკაში დაბრუნება აღარ მოუნდება.

„ეს სამი თუ ოთხი თვე შესაძლოა წლებად გადაიქცეს — ეს სიტყვები „მილანის“ ბრაზილიელ ვარსკვლავ კაკას ეკუთვნის — ძალიან ბედნიერი ვარ, მის მხარდამხარ რომ მომიწევს თამაში. ადრე ეს ბედნიერება არ მქონია. ყველა, ვისაც ბურთი მასთან ერთად გაუგორებია, ამბობს, რომ ეს უდიდესი სიამოვნებაა. ბექჰემი „მილანს“ დიდ ძალას შემატებს.“

შეგახსენებთ, რომ დღეს „მილანში“ ნამდვილი ვარსკვლავთცვენაა. კაკას მხარდამხარ აქ, იმავე ბრაზილიელთაგან თამაშობენ რონალდინიო და პატო, იქვეა უკრაინელი შევჩენკო თუ სხვა მრავალი.

„ასეთ თანაგუნდელებთან თამაშით ბექჰემი შეუძლებელია არ მოიხიბლოს. ვფიქრობ, არ არის გამორიცხული მან „მილანთან“ მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებაც სცადოს“ — დასძინა კაკამ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვარსკვლავებითა თუ „უბალოდ ძლიერი“ ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდში კიდევ ერთი კაცის ადგილი ხომ უნდა გამოინახოს? ეს უკვე „შავ-წითლების“ თავკაცის, კარლო ანჩელოტის თემაა, რომელსაც მწვრთნელი ასე ეხმაურება:

„ბექჰემი დიდი ფეხბურთელია, რომელსაც ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. მაგალითად, ნახევარდაცვაში მისი გამოყენება ერთნაირად შეიძლება როგორც ცენტრში, ასევე ფრთაზე. ვარსკვლავების სიჭარბე პრობლემა ვერანაირად ვერ იქნება. ეს რესურსია“.

**ბაჩუნა ძიდია**



# მალდინი: საფეხბურთო სულის მატარებელი

**იტალიური** „მილანის“ ცოცხალ ლეგენდას პაოლო მალდინის ორშაბათს მეორე მილანური გრანდის, „ინტერის“ ასევე ლეგენდარული მცველის ჯაჩინტო ფაკეტის სახელობის ჯილდო გადაეცემა.

ფაკეტიმ მთელი თავისი კარიერა, დაახლოებით 18 წელი, „ნერაძურიში“ გაატარა და თამაშის განსაკუთრებული, ჯენტლმენური სტილით გამოირჩეოდა. იგი 2006 წლის სექტემბერში კიბოსგან გარდაიცვალა. ჯილდო ფაკეტის გარდაცვალების შემდეგ დაარსდა და იქიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ისეთ ფეხბურთელებს გადაეცემა, რომლებიც თავიანთი თამაშით ფეხბურთის სულის გამომხატველნი არიან და რა თქმა უნდა, რომ პაოლო მალდინი შესაფერისი კანდიდატურაა. პირველად ფაკეტის სახელობის პრიზი „ვიჩენცას“ მოთამაშემ ხულიო გონსალესმა მიიღო, რომელმაც ავტოავარიაში მკლავის დაკარგვის მიუხედავად, ფეხბურთის თამაში გააგრძელა, გასულ წელს კი ეს ჯილდო ერაყის ნაკრების კარის დარაჯ იუნეს მაჰმუდ ხალეფს გადაეცა.

რაც შეეხება „როსონერის“ კაპიტანს, მისი დაჯილდოება 27 ოქტომბერს შედგება. ამასთან ერთად, პაოლოს სურვილით, 8 ათასი ევრო საქველმოქმედო მიზნით დაიხარჯება.

**არჩილ ძოგახიძე**

# რუნი და ცუდი კოცნა

**უეინ რუნი** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შესაძლოა დასაჯოს. რატომ? რატომ და, შაბათს პრემიერლიგის მატჩს თუ უყურეთ, „ევერტონმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1:1 რომ ითამაშეს, მიაქცევდით ყურადღებას, რომ რუნიმ თავის მაისურაზე მანჩესტერული კლუბის ემბლემას აკოცა. მერე რაო, იკითხავს ის, ვისაც არ ახსოვს, რომ რუნიმ კარიერა სწორედ „ევერტონში“ დაიწყო და, შესაბამისად, ამ გუნდის ფანების წინაშე „იუნაიტედის“ ემბლემის ასეთ დემონსტრაციულ კოცნას წინაისტორია და სხვა დატვირთვა აქვს.



შაბათის თამაშიდან კიდევ ერთ რამეს შეგახსენებთ: სერ ალექს ფერგიუსონმა თავისი ფორვარდი ამ კოცნიდან ცოტა ხანში გამოცვალა. თურმე, სპეციალურად გაუკეთებია — შეეშინდა, მსაჯმა მასპინძელი მაყურებლის გაღიზიანების გამო მოედნიდან არ გააძევოსო. როგორც ახლა ირკვევა, სწორადაც შეშინებია, მაგრამ არ არის გამორიცხული, იმ შეცვლამ საქმეს არ უშველოს. აკი მოგახსენეთ, რომ ფეხბურთის ასოციაციამ შეიძლება სანქციები მაინც გაატაროს. მოკლედ, ემბლემის გამომწვევი კოცნა შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

უფრო ზუსტად, ისტორია ასეთი გახლდათ: მართალია, რუნი, ოდესღაც მისი თაყვანისმცემელი საზოგადოებისგან მთელი მატჩის განმავლობაში „ტკბილ-ტკბილს“ უსმენდა, მაგრამ 69-ე წუთზე განსაკუთრებული გამოიწვია, როდესაც მიკელ არტეტას წინააღმდეგ იუხეშა და მსაჯისგან, ალან უაილისგან ყვითელი ბარათი მიიღო. სწორედ ამ განსაკუთრებული „ბუუ“-ს პასუხად აკოცა მანჩესტერელმა ვარსკვლავმა ემბლემას. ამის შემყურე უაილი დაუყოვნებლივ რუნისკენ გაიქცა ლექციის წასაკითხად, ფერგიუსონმა კი იფიქრა, ყველაფერს აჯობებს, უეინს მოედანს თუ მოვაშორებო და ასეც მოიქცა.

„მე არ ვიცოდი, რისთვის გააფრთხილეს რუნი, მაგრამ რაკი გააფრთხილეს, მსაჯის დამოკიდებულების შემეშინდა — უამბო პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს სერ ალექსმა — არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მსაჯი ჩვენს ფეხბურთელებს დაიცავდა. მანამდე უკვე იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც ევერტონელებმა იუხეშეს, მგრამ არბიტრმა ამაზე ყურადღება არ გაამახვილა. ტრიბუნებიც აგრესიულად იქცეოდნენ, ასე რომ, ყველაფერი ავწონდავწონე და რუნის მოედნიდან გაყვანა ვამჯობინე“.

„ევერტონის“ თავკაცი დევიდ მოიესი: „ეს ეპიზოდი არც დამინახავს და მართალი გითხრათ, ეს ჩემი საქმე არც არის.“

**ბაჩუნა ძიდია**

# შეშფოთებული მასკერანო

**არგენტინის** ეროვნულ ნაკრებს წლის ბოლომდე, უფრო კონკრეტულად კი, შოტლანდიასთან თამაშამდე, ოლიმპიური ნაკრების ყოფილი დამრიგებელი სერხიო ბატისტა რომ გაუძღვება, ამის შესახებ „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის. შეგახსენებთ, რომ ბატისტამ ამ თანამდებობაზე ალფიო ბასილე შეცვალა, რომელმაც ჩილესთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 0:1 წაგების შემდეგ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა.



რა თქმა უნდა, „ალბისელესტეს“ გულშემატკივრებიც და ფეხბურთელებიც შეშფოთებულნი არიან, რომ ეროვნულ გუნდს სრულფასოვანი თავკაცი ჯერაც არ ჰყავს. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება ინგლისური „ლივერპულისა“ და არგენტინის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ გამოთქვა.

„ბასილეს გადადგომა ძალიან მეწყინა. ეს ხომ ფეხბურთელების არადამაჯერებელი გამოსვლის გამო მოხდა. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც წელიწადნახევარი რჩება. შეიძლება, ვიღაცას მოეჩვენოს, რომ დრო კიდევ ბევრი გვაქვს, სინამდვილეში კი ეს წელიწადნახევარი ძალიან მცირე დროა. ამიტომ მთავარი მწვრთნელი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინიშნოს. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ამის გაკეთება ადვილი არ იქნება, რადგან ამ თანამდებობაზე ერდროულად რამდენიმე ღირსეული კანდიდატურა განიხილება.“

აქვე აღვნიშნოთ, რომ „ალბისელესტეს“ გაწვრთნის სურვილი დიეგო მარადონამ და კარლოს ბიანკიმაც გამოთქვეს.

**არჩილ ძოგახიძე**

# მოდი, ერთად ვი-ჰალი-სოთ!

## დაჭრილი ცხენის მდგომარეობა სტაბილურია

**ინგლისი**

**პრემიერლიგა**

**IX ტური**

**ევერტონი 1:1 მანჩესტერი**

0:1 ფლეტჩერი (22), 1:1 ფელაინი (63)

ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, იაგიელკა, ლესკოტი, არტეტა, ფელაინი, ოსმანი, პიენაარი, საა (ანიჩებე 90), იაკუბუ (ვოენი 88)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ფლეტჩერი (ტევესი 78), გიგზი, პარკი (ანდერსონი 67), ბერბატოვი, რუნი (ნანი 71)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: იაგიელკა, იობო, ფელაინი, ვიდიჩი, რუნი, ბრაუნი

მსაჯი: ვაილი

36 069 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:3 ჰალი**

0:1 ზაიატი (47), 0:2 ჯოვანი (62), 0:3 კინგი (66)

ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუიველოოტენი, დონკი, ოლსონი, რობინსონი, მორისონი (მური 80), გრინინგი, კორენი (ბრანტი 80), ვალერო, მილერი (მაკდონალდი 80), ბედნარი

მწვრთნელი: ტონი მოუბრეი

ჰალი: მაიჰილი, მაკშეინი, ზაიატი, ტერნერი, დოუსონი (რიკეტსი 10), მარნი, ეშბი (ჰიუზი 75), ბოატენგი, კუსინი, კინგი, ჯოვანი (გარსია 78)

მწვრთნელი: ფილ ბრაუნი

გაფრთხილება: მილერი, რიკეტსი, ეშბი

მსაჯი: პრობერტი

26 323 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:1 ნიუკასლი**

1:0 სისე (20), 1:1 ამეობი (30), 2:1 რიჩარდსონი (75)

სანდერლენდი: ფულოპი, შიმბონდა, ფერდინანდი, კოლინზი, მაკკარტნი, მალბრანკი (ტაინიო 87), უაითჰედი, იორკი (ჯონსი 57), რიჩარდსონი, სისე, დიუფი (რიდი 90)

მწვრთნელი: როი კინი

ნიუკასლი: გივენი, ბეიე, ტეილორი, კოლოჩინი, ბასონგი (ხოსე ენრიკე 84), ჯერემი (გუტიერესი 73), გეზრიე, ბატი (ბარტონი 85), დაფი, ამეობი, მარტინსი

მწვრთნელი: ჯო კინირი

გაფრთხილება: სისე, გეზრიე, ბატი

მსაჯი: რაილი

47 936 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 მიდლსბრო**

0:1 ალვეში (74), 1:1 მაკარტი (90)

ბლექბერნი: რობინსონი, სიმპსონი, ოოიერი, ნილსენი, ოლსონი (ტრისი 81), ემერტონი, გრელა, უორნოკი, ვილიანუევა, სანტა კრუსი, დერბიშირი (მაკარტი 65)

მწვრთნელი: პოლ ინსი

მიდლსბრო: ტერნბული, ვიტერი, რიგოტი, პოგატეცი, ტეილორი, ალიადიერი, ონილი, დიგარდი, დაუნინგი, ალვეში, თუნჯაი (ემნესი 85)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: დერბიშირი, ოლსონი, გრელა, ვიტერი

მსაჯი: დინი

17 606 მაყურებელი

**უიგანი 0:4 ასტონ ვილა**

0:1 ბერი (22პ), 0:2 აგბონლაჰორი (57), 0:3 კარეუ (62), 0:4 სიდუელი (90)

უიგანი: კირკლანდი, მელხიორი, ბრამბლი, ფიგეროა, ბოისი, კატერმოლი (ბრაუნი 81), პალასიოსი, დე რიდერი (ტეილორი 81), კამო (კუმასი 46), ჰესკი, ზაკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ასტონ ვილა: ფრიდელი, ლაურსენი, კუელარი, შორი, ლ. იანგი (დეივისი 79), პეტროვი (სიდუელი 85), ბერი (კარეუ 55), რეო-კოკერი, ე. იანგი, აგბონლაჰორი, მილნერი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: პალასიოსი, ლ. იანგი, რეო-კოკერი

მსაჯი: ჯონსი

20 049 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 ბოლტონი**

1:0 პავლიუჩენკო (17), 2:0 ბენტი (76პ)

ტოტენჰემი: გომესი, ჩორლუკა, კინგი, ასუ-ეკოტო, ჰატონი, მოდრიჩი, ჯენასი, ჰადლსტოუნი, ოჰარა (ლენონი 71), ბენტლი, პავლიუჩენკო (ბენტი 67)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ბოლტონი: იასკელაინენი, ობრაიენი, კეჰილი, სემიუელი, სტეინსონი, მაკკანი, მუამბა (გარდნერი 86), ნოლანი, ტეილორი, დევისი, ელმანდერი (რიგა 85)

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: ნოლანი, მაკკანი, იასკელაინენი

გაძევება: მაკკანი (56)

მსაჯი: მარინერი

35 507 მაყურებელი

**სიტი 3:0 სტოკი**

1:0, 2:0, 3:0 რობინიო (14, 47, 72)

სიტი: ჰარტი, დანი (ჟელსონი 76), ბენ-ჰაიმი, გარიდო (ონუოჰა 70), რიჩარდსი, ელანო, კომპანი, ევანსი (სტერიჯი 43), აირლენდი, რობინიო, შ. რაიტ-ფილიპსი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

სტოკი: სორენსენი, შაუკროსი, ფაიე, ჰიგინბოთემი, გრიფინი, დიაო (უელანი 76), ოლოფინიანა, დელაპი, სოარესი (კრესუელი 70), სიდიბე (კიტსონი 66), ფულერი

მწვრთნელი: ტონი პულისი

გაფრთხილება: კომპანი

მსაჯი: ტანერი

44 624 მაყურებელი

**ჩელსი 0:1 ლივერპული**

0:1 ხაბი ალონსო (10)

ჩელსი: ჩეხი, ტერი, კარვალიუ, ეშლი კოული, ბოსინგვა (სინკლერი 85), მიკელი, ლამპარდი, დეკუ, მალუდა (ბელეტი 58), ანელკა, კალუ (დი სანტო 58)

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

ლივერპული: რეინა, აგერი, კარაგერი, აურელიო, არბელოა, ხაბი ალონსო, მასკერანო, რობი კინი (ბაბელი 60), ჯერარდი, რიერა (ბენაიუნი 90), კაიტი (ლუკასი 88)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: რიერა, ჯერარდი, მასკერანო, მალუდა, ეშლი კოული, დეკუ

მსაჯი: ვები

41 705 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ფულემი**

1:0 კრაუჩი (61), 1:1 დემპსი (87)

პორტსმუთი: ჯეიმსი, ჰამაროტი, ქაბული, დისტინი, ბელჰაჯი, დიოპი, დიარა (მვუენბა 83), ჰიუზი, ტრაორე (კრანჩარი 84), კრაუჩი, დეფო

მწვრთნელი: ტონი ადამსი

ფულემი: შვარცერი, პანტსილი (ნევლანდი 84), ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დევისი, მერფი, ბულარდი, გერა (ბეშსი 71), ჯონსონი, ზამორა

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

მსაჯი: მარკ ჰელსი

19 233 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:2 არსენალი**

0:1 ფობერი (75ს.კ.), 0:2 ადებაიორი (90)

ვესტ ჰემი: გრინი, ფობერი, კოლინზი, ატსონი, ილუნგა, მალინზი, პარკერი (ბოა მორტე 77), ბოიერი (სირსი 89), დი მიკელე (კოერინგტონი 78), ბელამი, კოული

მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა

არსენალი: ალმუნია, ებუე, გალასი, სილვესტრი, კლიში, უოლკოტი (ადებაიორი 67), ფაბრეგასი, სონგი, ნასრი (დიაბი 68), ბენდტნერი, ვან პერსი (სანია 90)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: პარკერი, ფობერი, ფაბრეგასი, კლიში, სონგი

გაძევება: კოული (90)

მსაჯი: ფილ დაუდი

34 802 მაყურებელი

ესეც ასე — პრემიერლიგის „დიდი ოთხეული“ „ჰალმა“ ხუთეულად აქცია, რადგან ფილ ბრაუნმა ისეთი გუნდი გააკეთა, რომ ოთხეულის შუაში გაჩხირა და იქიდან თავისი ნებით გამოსვლას არ აპირებს, ძალით კიდევ ვერ აგდებენ.

რა აბრამოვიჩის მილიარდები, რის სკოლარი და ლამპარდი. რა გლეიზერები, რის ფერგიუსონი და რონალდუ!

„ჰალის“ ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი კალებ ფოლანია, რომელშიც კლუბს მილიონი გირვანქა აქვს გადახდილი. ექვს ამდენს წელიწადში იჯიბავენ ლამპარდი და რონალდუ.

მწვრთნელ ფილ ბრაუნის გამოცდილება კი ორ წელს და შვიდ თვეს არ აღემატება. ის შვიდი თვეც „დერბიში“ გაატარა და ცუდი შედეგისთვის დაითხოვეს. არც მსოფლიოს ჩემპიონია სკოლარივით და ფერგიუსონივით ჩემპიონთა თასიც არ მოუგია, მაგრამ მისი „ჰალი“ ცხრილში „ჩელსის“ და „ლივერპულს“ ეტოლება, ხოლო „არსენალს“ და „მანჩესტერს“ ზემოდან დაჰყურებს.

შაბათს „ჰალმა“ სტუმრად „ვესტ ბრომვიჩი“ დაამარცხა და მიჯრით მეოთხე მოგება მიითვალა. წაუგებელი სერია ექვსამდე გაზარდა და ბოლო სამ ტურში გოლი არ გაუშვია.

კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ზაიატმა ფეხი ჩოგანივით მოუქნია და ხუთი მეტრიდან შეაგდო. დაწოლილმა ჯოვანიმაც თავით ახლოდან გაიტანა და მეკარესთან პირისპირ გასულ კინგსაც არ აჰკანკალებია ფეხი — 0:3. ასე მოიგო „ჰალმა“ პრემიერლიგაში დიდი სხვაობით პირველი მატჩი.

ფილ ბრაუნის გუნდს ურთულესი გამოცდა მომდევნო ტურებში ელის. ჯერ „ჩელსის“ უმასპინძლებს, მერე „მანჩესტერს“ ესტუმრება.

რაღა დევიდ ბექემი და რაღა „სანდერლენდის“ კირან რიჩარდსონი. „მანჩესტერიდან“ ნაყიდი ცაცია ნახევარმცველი საჯარიმო დარტყმებს ნელ-ნელა ხვეწს და „ნიუკასლთან“ დერბიში საუცხოო გოლი გაიტანა. „სანდერლენდმა“ 28 წლის მერე „ნიუკასლი“ შინ პირველად დაამარცხა.

ჯიბრილ სისემ ხუთი მეტრიდან შეაგდო, შოლა ამეობიმ კი ათ წუთში თავურით უპასუხა. რიჩარდსონმა დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან შეასრულა დარტყმა და იქ გაიტანა, სადაც მეკარე იდგა. ბურთი ხარიხის ქვეშ გიჟივით შევარდა.

ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ „ნიუკასლის“ ნაცნობი ფეხბურთელი ჯოი ბარტონი შეცვლაზე შევიდა. „სანდერლენდის“ ფანებმა ბოთლები დაუშინეს, მან კი პასუხად მაისურზე კლუბის ემბლემას აკოცა.

თამაშის დასრულებისთანავე მასპინძელ ქომაგთა ნაწილი მოედანზე შეიჭრა, მაგრამ მალევე უკან გარეკეს. სტადიონთან ფანები და ცხენოსანი პოლიცია შეიბნენ. 29 კაცი დააპატიმრეს, ერთი ცხენი მსუბუქად დაიჭრა.

„მანჩესტერის“ მოგებათა ექვსმატჩიანი სერია „გუდისონ პარკზე“ შეწყდა. პირველ ტაიმში სტუმრებმა „ევერტონი“ მოედნიდან გააქრეს, მაგრამ ერთზე მეტი ვერ გაიტანეს, მეორეში კი „მანჩესტერი“ დაიკარგა მასპინძელთა ჯანიან ფეხბურთელებში და მარუან ფელაინმა თავურით გაათანაბრა.

„მიდლსბრომ“ კი 12 აპრილის მერე ფრე პირველად ითამაშა. „ბლექბერნს“ აფონსუ ალვეშის გოლით უგებდა, მაგრამ ბენი მაკარტიმ ბოლო წუთზე თავურით გაათანაბრა.

პრემიერლიგაში „ჩელსის“ 86-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია ბრაზილიური სერიალივით დაუსრულებელი არ გამოდგა და გუშინ „ლივერპულმა“ დაამთავრა.

ხაბი ალონსოს დარტყმული ბურთი გზად კარვალიუს შეეხო, მიმართულება იცვალა და პეტრ ჩეხი უძლური აღმოჩნდა.

„ჩელსის“ სულ ორი-სამი საგოლე მომენტი ჰქონდა და კლუბს უდროგბობა აქამდე თუ არ ეტყობოდა, „ლივერპულთან“ აშკარად დაეტყო.

„ლივერპული“ ცხრილის თავში მოექცა და ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

40-მილიონიანმა რობინიომ „სტოკთან“ სამი შეაგდო და პირველი „ინგლისური“ ჰეთ თრიქი გაიფორმა.

ხუანდე რამოსმა „ტოტენჰემისგან“ „სევილია“ ვერ გააკეთა და შაბათს მოხსნეს. მის ნაცვლად დანიშნულმა ჰარი რედნაპმა სადებიუტო მატჩი გუშინ „ბოლტონთან“ მოიგო და ნარამოსალ გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება აგემა. რედნაპის „პორტსმუთი“ მისმა თანაშემწემ ტონი ადამსმა დროებით ჩაიბარა.

„ასტონ ვილამ“ უიგანში გაილაღა, ოთხი გაიტანა და მასპინძლებს პრემიერლიგაში ზედიზედ მესამე მარცხი მიუთვალა.

„არსენალს“ კი შეცვლაზე შესულმა ადებაიორმა მოაგებინა. მისი დარტყმული ბურთი ფობერმა საკუთარ კარში ჩაჭრა, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ტოგოელმა ცარიელ კარში შეაგდო.

პრემიერლიგაში „ჩელსის“ 86-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია ბრაზილიური სერიალივით დაუსრულებელი არ გამოდგა და გუშინ „ლივერპულმა“ დაამთავრა.

ხაბი ალონსოს დარტყმული ბურთი გზად კარვალიუს შეეხო, მიმართულება იცვალა და პეტრ ჩეხი უძლური აღმოჩნდა.

„ჩელსის“ სულ ორი-სამი საგოლე მომენტი ჰქონდა და კლუბს უდროგბობა აქამდე თუ არ ეტყობოდა, „ლივერპულთან“ აშკარად დაეტყო.

„ლივერპული“ ცხრილის თავში მოექცა და ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

40-მილიონიანმა რობინიომ „სტოკთან“ სამი შეაგდო და პირველი „ინგლისური“ ჰეთ-თრიქი გაიფორმა.

ხუანდე რამოსმა „ტოტენჰემისგან“ „სევილია“ ვერ გააკეთა და შაბათს მოხსნეს. მის ნაცვლად დანიშნულმა ჰარი რედნაპმა სადებიუტო მატჩი გუშინ „ბოლტონთან“ მოიგო და ნარამოსალ გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება აგემა. რედნაპის „პორტსმუთი“ მისმა თანაშემწემ ტონი ადამსმა დროებით ჩაიბარა.

„ასტონ ვილამ“ უიგანში გაილაღა, ოთხი გაიტანა და მასპინძლებს პრემიერლიგაში ზედიზედ მესამე მარცხი მიუთვალა.

„არსენალს“ კი შეცვლაზე შესულმა ადებაიორმა მოაგებინა. მისი დარტყმული ბურთი ფობერმა საკუთარ კარში ჩაჭრა, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ტოგოელმა ცარიელ კარში შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 9 | 7 | 2 | 0 | 14:6 | 23 |
| ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:4 | 20 |
| ჰალი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:11 | 20 |
| არსენალი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:6 | 19 |
| ასტონ ვილა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| მანჩესტერი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:5 | 15 |
| პორტსმუთი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:14 | 14 |
| სიტი | 9 | 4 | 1 | 4 | 23:14 | 13 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| ვესტ ჰემი | 9 | 4 | 0 | 5 | 14:16 | 12 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:15 | 12 |
| მიდლსბრო | 9 | 3 | 1 | 5 | 8:15 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:14 | 10 |
| ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:19 | 9 |
| უიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:13 | 8 |
| ფულემი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | 8 |
| ბოლტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | 8 |
| სტოკი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:18 | 7 |
| ნიუკასლი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:17 | 6 |
| ტოტენჰემი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:12 | 5 |

**X ტური**

**28-29 ოქტომბერი**

არსენალი — ტოტენჰემი
ბოლტონი — ევერტონი
ჰალი — ჩელსი
მანჩესტერი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — სიტი
სტოკი — სანდერლენდი
ასტონ ვილა — ბლექბერნი
ფულემი — უიგანი
ლივერპული — პორტსმუთი
ნიუკასლი — ვესტ ბრომვიჩი

### ჩემპიონლიგა

**XII ტური**

ბარნსლი — ბრისტოლი 0:0; ბირმინგემი — უენსდი 3:1; ბლექპული — კრ. პალასი 2:2; ჩარლტონი — ბარნლი 1:1; ქოვენთრი — დერბი 1:1; ნორვიჩი — დონკასტერი 2:1; ნოტინგემი — კარდიფი 0:1; პლიმუთი — იფსვიჩი 1:3; შეფილდი — პრესტონი 1:0; სუონსი — საუთჰემპტონი 3:0; უოტფორდი — ვულვზი 2:3; რედინგი — ქუინზ პარკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 11 | 8 | 1 | 2 | 27:16 | 25 |
| ბირმინგემი | 11 | 7 | 3 | 1 | 15:7 | 24 |
| კარდიფი | 11 | 5 | 6 | 0 | 13:7 | 21 |
| სუონსი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| რედინგი | 11 | 5 | 3 | 3 | 23:13 | 18 |
| ქუინზ პარკი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| შეფილდი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:7 | 17 |
| ბრისტოლი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:10 | 17 |
| პრესტონი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 17 |
| იფსვიჩი | 11 | 4 | 3 | 4 | 18:13 | 15 |
| კრ. პალასი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:12 | 15 |
| ქოვენთრი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:12 | 15 |
| უენსდი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:20 | 15 |
| უოტფორდი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:17 | 14 |
| ჩარლტონი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:13 | 14 |
| დერბი | 11 | 3 | 5 | 3 | 11:12 | 14 |
| ბლექპული | 11 | 3 | 5 | 3 | 9:11 | 14 |
| ბარნლი | 11 | 3 | 5 | 3 | 12:16 | 14 |
| პლიმუთი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:16 | 12 |
| ნორვიჩი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:14 | 12 |
| ბარნსლი | 11 | 2 | 2 | 7 | 8:15 | 8 |
| დონკასტერი | 11 | 2 | 2 | 7 | 6:17 | 8 |
| საუთჰემპტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:21 | 8 |
| ნოტინგემი | 11 | 1 | 2 | 8 | 8:20 | 5 |

### I ლიგა

სკანთორპი — მილუოლი 3:2; სუინდონი — ოლდემი 2:0; როვერსი — საუთენდი 4:2; იოვილი — ლეიტონი 0:0; კოლჩესტერი — კარლაილი 5:0; ჰარტლპული — ბრაიტონი 1:0; ჰერეფორდი — სტოკ პორტი 0:1; ლიდსი — უოლსოლი 3:0; ლესტერი — ნორთჰემპტონი 0:0; დონსი — ჩელტენემი 3:1; პიტერბრო — ჰარედსფილდი 4:0

### II ლიგა

ჯილინგემი — ჩესტერი 2:0; მაკლსფილდი — როტერემი 1:2; პორტ ველი — მორკემბი 2:1; აკრინგტონი — უიკომბი 0:1; როჩდეილი — ალდერშოტი 3:1; ბარნეტი — ექსეტერი 0:1; ბორნმუთი — ლინკოლნი 0:1; ბრენტფორდი — შრიუსბერი 1:1; ბერი — ლუტონი 1:2; ჩესტერფილდი — ნოტსი 3:1; დარლინგტონი — დაგენემი 3:0

### ჩრდილოეთ კონფერენსლიგა

ჰაკნოლი — ჰაიდი 0:1; სოლიჰალი — ჰაროგეიტი 1:1; საუთპორტი — რედინგი 2:3; სტელიბრიჯი — სტეფორდი 2:0; ვოქჰოლი — უორკინგტონი 3:0; ფარსლი — გეინსბორო 2:1

### სამხრეთ კონფერენსლიგა

მეიდენჰედი — უორჩესტერი 5:0; ნიუპორტი — უელინგი 0:0; სტ ალბანსი — ბათი 2:1; თაროკი — ბოგნორი 1:1; ფიშერი — ჩემსფორდი 0:1

### ასოციაციის თასი

კეტერინგი — ბარტონი 3:0; ტემფორთი — ბაროუ 0:4; კინგს ლინი — კიდერმინსტერი 1:5; იორკი — მენსფილდი 0:0; რექსემი — ისტვუდი 0:0; სტივენეიჯი — ჰორშემი 2:2; უოკინგი — ებსფლითი 2:2; ოქსფორდი იუნ. — ჰეიესი 2:0; თიმ ბათი — სელისბერი 1:0; ქროული — ჰავანტი 0:3; ვეიმუთი — ჰორნჩარჩი 1:2; ემფორდი — ფორესტ გრინი 0:0; ბლითი — შეფილდი 3:1; ბოსტონი — კემბრიჯი 2:3; ბერი — ბასინგსტოკი 4:1; დორჩესტერი — ბიშოფსი 1:0; დროილსდენი — ბლეპერი 0:0; დურჰამი — ჰისტონი 2:2; ფლიტვუდი — ნანტვიჩი 4:3; გრეისი — ტონტონი 2:0; ჰემპტონი — ბრაკლი 0:1; ჰინკლი — ეშტონი 1:1; ლეისტონი — ლიუისი 1:1; მეიდსტონი — უიმბლდონი 0:1; ოქსფორდი — ისტბორნი 0:1; რეტფორდი — ალფრეტონი 1:3; ტორკი — ჩიპსტედი 4:1

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### IX ტური

# სოფელო, ჩემო სოფელო!



ჩინედუ ობასიმ „ჰამბურგს“ ორჯერ გაუტანა

**ბაიერნი 4:2 ვოლფსბურგი**

0:1 გრაფიტე (31ვ), 0:2 ძეკო (33), 1:2 რიბერი (41), 2:2 ვან ბომელი (54), 3:2 ბოროვსკი (63), 4:2 შვაინშტაიგერი (80)
ბაიერნი: რენსინგი, ოდო ბოროვსკი 46), ლუსიო, დემიკელისი, ლელი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი ოტლი 76)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი, ჟოსუე, ჰასებე გენტნერი 57), სანტანა დეჟაგა 64), მისიმოვიჩი საგლიკი 80)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კლოზე, ბარძალი, ბოროვსკი, სანტანა, ლელი
მსაჯი: დრეესი
69 000 მაყურებელი

**კოტბუსი 2:3 აინტრახტი**

1:0, 2:0: რანგელოვი 8, 15), 2:1 ფინკი 38), 2:2 ფენინი 68), 2:3 ლიბეროპულოსი 74)
კოტბუსი: ტრემელი, პავიჩევიჩი, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი რადელიჩი 63), ცაგდასი, ტ. როსტი, რივიჩი დ. სორენსენი 72), შკელა, ილიევი ვასილიევიჩი 55), რანგელოვი, ბ. იელიჩი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი ტსუმუ 73), რუსი, გალინდო, სპიხერი, მ. ფინკი, ინამოტო, შტაინჰოფერი, ლიუბიჩიჩი ქორქმაზი 46), ლიბეროპულოსი, კაიო ფენინი 61)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ტ. როსტი, პ. ოხსი, რუსი, გალინდო
მსაჯი: კირხერი
13 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:0 კიოლნი**

1:0 მ. ფრიდრიხი 67), 2:0 გეკასი 84პ)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ენრიკე, კადლეცი, როლფესი, აუგუსტუ ბაგუი 90), ვიდალი, შვეგლერი დუმი 88), ჰელმესი გეკასი 79), კისლინგი
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
კიოლნი: მონდრაგონი, ბრეკო, ჟერომელი, მოჰამადი, ვომე, პეტიტი, პეცონი მაკენა 81), ვუჩიჩევიჩი, ანტარი, ეპრეტი ჩიჰი 72), ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ვიდალი, მოჰამადი, ნოვაკოვიჩი, პეცონი, მონდრაგონი
მსაჯი: ვაინერი
22 500 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:1 ვერდერი**

1:0 კ. შულცი 9), 1:1 უგო ალმეიდა 41)
ჰანოვერი: ფრომლოვიჩი, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, რაუში ლალა 79), ბალიჩი, კ. შულცი, კრებსი შლაუდრაფი 46), პინტო, ჰუსტი, ფორსელი ჰანკე 66)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
ვერდერი: ვანდერი, კ. ფრიცი, ბაუმანი, ნალდო, ბოენიში, ფრინგსი, ვრანიეში, ჰუნტი, იოზილი, როზენბერგი სანოგო 75), უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰუსტი, ფრინგსი, ჩერუნდოლო, ბოენიში, ბალიჩი, ჰუნტი
მსაჯი: კინჰოფერი
49 000 მაყურებელი

**გლადბახი 1:0 კარლსრუე**

1:0 პააუვე 51)
გლადბახი: გოსპოდარეკი, სვარდი, კლაინე, დემსი, ვოიგტი, ალბერმანი, პააუვე, მატმური ნდიენგი 85), ბრედლი კულიბალი 77), მარინი ნოივილი 65), ფრიენდი
მწვრთნელი: ჰანს მეიერი
კარლსრუე: მ. მილერი, ჩელოცი, სებასტიანი, ფრანცი, აიხნერი, პორსელო, მუცელი ადობე 46), ფრაისი, და სილვა ტიმი 64), იაშვილი კაპლანი 79), კენედი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
გაფრთხილება: ფრიენდი, ნოივილი
მსაჯი: აიტეკინი
39 000 მაყურებელი

**შალკე 0:0 არმინია**

შალკე: ნოიერი, რაფინია, ჰიოვედესი, ბორდონი, კობიაშვილი, ჯონსი, ფ. ერნსტი ენგელაარი 66), რაკიტიჩი ასამოა 66), ფარფანი, კურანი, ჰალილ ალთინთოფი სანჩესი 78)
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
არმინია: აიჰოფი, ლამეი, ჰერსიგი, ბოლმანი, შულერი, კუჩერა, ტეშე კამპერი, ჰალფარი, კატონგო, ვიხნიარეკი სადიკი 87)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ჰიოვედესი, შულერი, ჰერსიგი
გაძევება: კამპერი 60)
მსაჯი: ვინკმანი
60 886 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ჰერტა**

0:1 სისერო (31), 1:1 კელი (71)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ლი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი (ოვომოიელა 60), კელი, ტინგა (ზიდანი 72), კრინგე, ჰაინალი, ბლაშჩიკოვსკი (ფრეი 20), ვალდესი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ფრიდრიხი, კაკა, შტაინი, ლუსტენბერგერი (დარდაი 61), კასარი, ნიკუ, სისერო, რაფაელი, პანტელიჩი (დომოვჩისკი 77)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: ვაიდენფელერი, ვალდესი, დრობნი, ჩაჰედი, შტაინი
მსაჯი: მაიერი
66 600 მაყურებელი

**ჰოფენჰაიმი 3:0 ჰამბურგი**

1:0 ობასი (7), 2:0 იბიშევიჩი (13), 3:0 ობასი (35)
ჰოფენჰაიმი: ჰაასი, ბეკი, იასლი, კომპერი, იბერტსბერგერი, ედუარდო (კოპადო 84), გუსტავო, სალიხოვიჩი (ტებერი 82), ობასი, ბა (ვორსა 74), იბიშევიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰამბურგი: როსტი, დემელი (ბოატენგი 81), სილვა, რაინჰარდტი, მატიესენი, იაროლიმი, ბენჯამინი (ათუბა 46), პიტროიპა, ტროხოვსკი (ბენ-ჰატირა 71), პეტრიჩი, ოლიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: კომპერი, პიტროიპა, რაინჰარდტი, დემელი, ტროხოვსკი
მსაჯი: შტარკი
26 300 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:0 ბოხუმი**

1:0, 2:0 გომესი (80, 83)
შტუტგარტი: ლემანი, ოსორიო (ელსონი 56), ტასკი, დელპიერი, მანინი, ხედირა, ჰიცლშპერგერი, ჰილბერტი, ბოკა (მარიკა 67), გომესი, კაკაუ (ბულაჰრუსი 84)
მწვრთნელი: არმინ ფეე
ბოხუმი: ფერნანდესი, პფერცელი, მაინტრიცი, იაჰია, ფუქსი, შრიოდერი (მეჩელი 84), დაბროვსკი, ფრაიერი, აზაოალი, შესტაკი (გროტე 71), სინანი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ჰიცლშპერგერი, ბოკა, მარიკა, ფრაიერი, პფერცელი, იაჰია
მსაჯი: გრეფე
43 000 მაყურებელი

„ბაიერნმა“ წაგებული ტაიმის შემდეგ თამაში შემობრუნა, მაგრამ იმდენად მორყეული დაცვა ჰყავს, რომ „ვოლფსბურგმა“ აურაცხელი საგოლე მომენტი შექმნა და ნახევარი რომ გამოეყენებინა, მიუნხენიდან ქულას მაინც წაიღებდა.

„ეს მარცხი დაუდევრობის ბრალი არ მგონია — თქვა ფელიქს მაგათმა — მათ უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ და მომენტებს ჩვენზე უკეთ იყენებენ“.

„უკან დასახევი გზა არ გვქონდა, მეორე ტაიმში მაგრად შევუტიეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ“ — განცხადა შვაინშტაიგერმა.

დემიკელისმა გრაფიტეს საჯარიმოს გარეთ გამოსდო ფეხი, ბრაზილიელი კი შიგნით წაიქცა და მსაჯმა პენალტი დანიშნა.

თერთმეტი მეტრიდან გრაფიტემ გაიტანა. წუთის შემდეგ ძეკომ თავურით მეორე შეაგდო და კლინსმანს სახე დაეჭმუჭნა, მაგრამ რიბერიმ სეზონში პირველი გოლით, მასპინძლებს თამაშის გადარჩენის იმედი გაუცოცხლა. ფრანგმა საჯარიმოს გარედან დაბალი და უზუსტესი დარტყმით ბურთი კუთხეში შეასრიალა.

მეირე ტაიმში მასიმო ოდოს ნაცვლად ტიმ ბოროვსკი შევიდა და ნახვარდაცვაში კაცის დამატება „ბაიერნის“ შეტევებს დაეტყო.

კლოზეს დარტყმის შემდეგ, მეკარის მოგერიებული ბურთი ვან ბომელმა ბადეში თავით ჩასვა, ბოროვსკიმ ახლოდან მესამე მიაყოლა, შვაინშტაიგერმა კი ლამის კარის ხაზიდან შეაგდო.

„ბაიერნივით“ ორბურთიანი სხვაობა გააქრო და თამაში მოიგო „აინტრახტმა“, რომელმაც ჩემპიონატში საშინელი დასაწყისის შემდეგ ბოლო ორ შეხვედრაში იყოჩაღა და ცხრილის ფსკერს თავი დააღწია.

კოტბუსელმა დიმიტარ რანგელოვმა ჯერ აარონ გალინდოს, მერე კი ნიკოს ლიბეროპულოსის შეცდომებით ისარგებლა და რვა წუთში დუბლი შეასრულა.

ტაიმის მიწურულს მიხაელ ფინკმა 25 მეტრიდან ბურთი ცხრიანში შეჭედა და სხვაობა შეამცირა. შესვენების შემდეგ მარტინ ფენინმა ახლოდან გაუტანა ტრემელს, ხოლო ლიბეროპულოსმა თავურით სტუმართა გამარჯვებისა შეაგდო.

დიეგოს და კლაუდიო პისაროს გარეშე, „ვერდერის“ შეტევებს მარილი აკლდა, რის გამოც „ჰანოვერიდან“ ქულაზე მეტი ვერ წაიღეს. შულცმა ნაკუთხურალი ბურთი კარში თავით შეაგდო, უგუ ალმეიდამ კი ცაციით გაათანაბრა.

„გლადბახის“ მწვრთნელის ჰანს მაიერის დებიუტი სამქულიანი გამოდგა. პატრიკ პააუვემ მეორე ტაიმის დასაწყისში გაუტანა „კარლსრუეს“ და ზედიზედ მესამე მარცხი აგემა.

„შალკეს“ შეეძლო ლიდერებთან მიახლოება, მაგრამ „არმინიას“ კარი ვერ შეაღო. შესვენებამდე გუნდებს თითო კარგი მომენტი ჰქონდათ. არტურ ვიხნიარეკმა ოთხი მერტიდან თავურით ააცილა, კურანის დარტყმული კი კარის ჩარჩოს მოხვდა.

იონას კამპერი მეორე ნახევარში გააძევეს, მაგრამ მასპინძლებმა უპირატესობით ვერ ისარგებლეს. ფარფანი გაუძვრა სამ მცველს და ათი მეტრიდან მეკარემ აულო.

„ჰოფენჰაიმმა“ 36 წუთში აუხსნა „ჰამბურგს“, რომელიც მათ შორის ბუნდესლიგის ყოჩი. ჩინედუ ობასიმ დუბლი შეასრულა, მის გოლებს შორის კი ჩემპიონატის ბომბარდირმა ვედად იბიშევიჩმა ერთი ჩაამატა და სოფლის გუნდი პირველ ადგილზე მოკალათდა. ვითომ მაგრები კი ქვემოდან შეჰყურებენ. „ჰოფენჰაიმის“ ფანებს თურმე მაისურაზე აწერიათ: „მთელი სოფელი აქაა“.

„ჰერტამ“ სტუმრად სეზონში პირველი ფრე ითამაშა, თუმც კი სიჩეროს პენალტით დორტმუნდში იგებდა. მასპინძლები მარცხისგან სებასტიან კელმა იხსნა.

„შტუტგარტი“ „ბოხუმმა“ გააწვალა, მაგრამ მარიო გომესს სტუმრებისთვის ქულა არ ემეტებოდა და სამ წუთში წყვილი გოლით დაასაჩუქრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოფენჰაიმი | 9 | 6 | 1 | 2 | 24:14 | 19 |
| ლევერკუზენი | 9 | 6 | 0 | 3 | 22:11 | 18 |
| ჰამბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:15 | 17 |
| შტუტგარტი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| ბაიერნი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:16 | 15 |
| ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 15 |
| შალკე | 9 | 3 | 5 | 1 | 12:8 | 14 |
| დორტმუნდი | 9 | 3 | 5 | 1 | 17:15 | 14 |
| ვოლფსბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 20:16 | 13 |
| ვერდერი | 9 | 3 | 4 | 2 | 23:20 | 13 |
| კიოლნი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:11 | 13 |
| აინტრახტი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:14 | 9 |
| კარლსრუე | 9 | 3 | 0 | 6 | 8:13 | 9 |
| ჰანოვერი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:17 | 9 |
| ბოხუმი | 9 | 1 | 4 | 4 | 12:15 | 7 |
| არმინია | 9 | 1 | 4 | 4 | 10:16 | 7 |
| გლადბახი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | 7 |
| კოტბუსი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:14 | 5 |

**X ტური**

28 ოქტომბერი

ვერდერი — ლევერკუზენი
ჰამბურგი — შტუტგარტი
ვოლფსბურგი — გლადბახი
აინტრახტი — ბაიერნი
ჰერტა — ჰანოვერი
კარლსრუე — შალკე
ბოხუმი — ჰოფენჰაიმი
არმინია — კოტბუსი
კიოლნი — დორტმუნდი

## მეორე ბუნდესლიგა
